# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 10 ივლისი 2002 №126 (1648) | ფასი 50 თეთრი






# პარალელური ულვაშები და პერპენდიკულარული ინტერესები

პლუტარქე გაიხარებდა, 21-ე საუკუნის პირველ წლებში რომ მოხვედრილიყო და ქართულ და რუსულ ფეხბურთში მიმდინარე ამბებისთვის ეჭვრიტა. „პარალელურ ბიოგრაფიათა" თემა წარმატებით განვითარდება, თუ იმ მოვლენებს შევაპირისპირებთ, რომლებიც საქართველოს და რუსეთის ეროვნულ ნაკრებთა მთავარი მწვრთნელების დანიშვნას ახლდა თან. აქაც და იქაც ნაკრებებმა სასახელო ფეხბურთი ვერ ითამაშეს, თუმცა ჩვენმა მეზობლებმა კორეა-იაპონიაში მაინც გაალწიეს, ორივეგან არსებობდა მწიფე საზოგადოებრივი აზრი წესიერი ევროპელი მწვრთნელის მოწვევის შესახებ და საქართველოში ამგვარი კაცი ჯერ ხეირიანად არ ჩამოეყვანათ, რომ უკანვე გაუშვეს, ბოლოს კი ორივე პოსტსაბჭოთა ქვეყნის ფეხბურთის თავებმა ძველი, გაკვალული გზა ამჯობინეს და კვლავ შინაურ მღვდლებს უბოძეს შენდობა. დღეს საქართველოს ნაკრებს ალექსანდრე ჩივაძე წვრთნის, რუსეთისას — ვალერი გაზაევი და ასეთი პარალელიზმის პრინციპი მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ორთავენი ულვაშა კავკასიელები გახლავან.

ისინი ერთმანეთს კარგად იცნობენ, ბარიერის ერთ მხარესაც მდგარან თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა ნაკრებში, მაგრამ დრომ მოიტანა და სპორტული მტრები გახდნენ. ოღონდ მხოლოდ სპორტული, თორემ რა აქვს გაზაევს ქართველებთან გასაყოფი: თავისი წონა რქაწითელი ექნება მირთმეული თბილისურ ღვინისძიებებზე. კავკავშიც, ანუ ვლადიკავკაზში გაზაევის ფრთის ქვეშ უფრო ჩვენიანი ფეხბურთელები განაპირობებდნენ ოსური საკლუბო ფეხბურთის აყვავებას და იქაური „ალანიას" რუსეთის მასშტაბით განდიდებას.

აი, გუშინაც — თუმც გაზაევისთვის „ალანია" უკვე ქვედა დონეა — ორმა ქართველმა, გიორგი დემეტრაძემ და მიხეილ აშვეთიამ წყვილ-წყვილი ბურთები შეუგდეს „ტორპედო-ზილის" მეკარეს და ოსებს ეფექტურად გაამარჯვებინეს. რუსეთის ჩემპიონატი, ქართულისგან განსხვავებით, ნელ-ნელა ემსგავსება რაღაცას და იქ დუბლის გაკეთება გამოსატოვებელი ამბავი როდია.

ათასად კაცი რომ დაფასდა, ვიცით და 10 ათასად — სარჩელი, რომელიც ორმა საფეხბურთო კლუბმა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში შეიტანეს. უფრო ზუსტად, თბილისის „დინამომ", ზესტაფონის „მეტალურგმა" და დედაქალაქის ფედერაციამ ამ ოდენობის თანხები (ჯამში — 30 ათასი ლარი) უნდა მიართვან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას წესდების დარღვევის გამო. მათ სარჩელის შეტანის უფლება არ ჰქონიათ. ყველაზე არ ვიტყვით, მაგრამ აქ კარგი ქართული სიტყვა „გუდამშიერი" გვაგონდება.





ალექსანდრე ჩივაძეს ვალერი გაზაევის წინააღმდეგაც უთამაშია და მხარდამხარაც


გოჩა ჯამარაული

# მოსკოვს ჯამარაულის სჯერა
## რუსულ დინამოს პრობლემას ქართველი მოუგვარებს

**ფაქტობრივად** გადაწყვეტილია, გოჩა ჯამარაული კარიერას რუსეთში, მოსკოვის „დინამოში" გააგრძელებს.

უკვე ერთი კვირაა, ქართველი ნახევარმცველი ნოვოგორსკის საწვრთნელ ბაზაზე „დინამოსთან" ერთად ვარჯიშობს და რუსებს თავის შესაძლებლობებში არწმუნებს. ორშაბათს გოჩამ დინამოელთა ორმხრივ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა და მწვრთნელი პროკოპენკოც ძალიან კმაყოფილი დაუტოვებია. პროკოპენკოსვე თანაშემწემ, ადრე თბილისის „დინამოში" გერმან ზონინის დამხმარედ ნამუშევარმა გერმან განევიჩმა კი თქვა, ჯამარაულის დონის ფეხბურთელი რუსეთის ჩემპიონატში ერთი-ორია, ის „დინამოს" მნიშვნელოვნად გააძლიერებს, გუნდში გამთამაშებლის პრობლემა აღარ იქნება. შეიძლება ითქვას, ტუზი დაგვეცა, ჯამარაულის სანაცვლოდ „ციურიხისთვის" არც ფული გვექნება გადასახდელიო.

თავად გოჩა ჯამარაულთან დაკავშირება ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ, თუმცა კი შევიტყვეთ, „დინამოში", რომლის აქციათა საკონტროლო პაკეტს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური ფლობს, თამაშის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. პირიქით, ძალიან მოწადინებულია, კლუბმა კონტრაქტი მალევე გაუფორმოს. ეს მალე კი, როგორც მოსკოვიდან გვითხრეს, ამ კვირაში იქნება.

ალბათ, ამ კვირაშივე გაირკვევა მეკარე გიორგი ლომაიას ბედიც, რომელიც მოსკოვში ჯამარაულზე ადრე ჩავიდა დინამოელთათვის თავის მოსაწონებლად და ეს მოუხერხებია კიდეც. ამჟამად კი მოსკოვის „დინამოსა" და თბილისის „ლოკომოტივს" შორის სატრანსფერო თანხაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება.

**კობა ინასარიძე**

# ვიტ ჯორჯია ნავთლუღში დასახლდა

**„ვიტ ჯორჯია"** წლის ბოლომდე ადგილსამყოფელს იცვლის და მეთოთხმეტე ჩემპიონატის პირველი წრის საშინაო მატჩებს თბილისში, „შევარდენის" სტადიონზე ჩაატარებს.

არა, ვეტერინარები მცხეთიდან არავის გაუძევებია, არც „არმაზი" მოსძულებიათ ვიტელებს, უბრალოდ, „ვიტ ჯორჯიას" მშობლიური სარბიელის რეკონსტრუქცია გადაუწყვეტია და „შევარდენისთვის" თავიც ამად შეუფარებია.

— გადავწყვიტეთ, სათამაშო მოედანი მოვაწესრიგოთ, გასახდელები მწყობრში მოვიყვანოთ, იქვე შეკრებების მოსაწყობად აუცილებელი კორპუსის ჩადგმასაც ვაპირებთ. მომავალ გაზაფხულამდე, ალბათ, ყველა სამუშაოს დასრულებას მოვახერხებთ, არადა პრობლემაც არ შეგვექმნება — „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი სხვა სიახლეებსაც გვპირდება, მხოლოდ ცოტაც მადროვეთო.

ვეტერინარული კლუბი „შევარდენის" ხელმძღვანელობას უკვე მოელაპარაკა. ყველა პირობა შეთანხმებულია და მოედანსაც სრულ წესრიგში დაგახვედრებთო, ირწმუნებიან ნავთლუღელები.

ვიდრე კლუბის თავკაცობა სტადიონის პრობლემას აგვარებდა, ჯანი კარნევალის კიდევ ერთი ყოფილი შეგირდი დაუბრუნდა. ჯერ ბოლნისურ „სიონში", მერე კვიპროსულ „არადიპუში" განათხოვრებული და სეზონის ისევ „სიონში" დამსრულებელი გიორგი ქორიძე დღეს ვიტელებთან ერთად ვარჯიშობს. დარჩება ქორიძე კლუბში თუ სხვა გზას ეწევა, რამდენიმე დღეში გადაწყდება.

**ბამბუკა ძვანტალიანი**

| ავსტრია | შვედეთი |
|---|---|
| მაქსბუნდესლიგა. I ტური | IX ტური |
| აუსტრია 2:0 რიდი | იურგორდენი 2:3 ორგრიტე |

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ქართველებმა ზილი დალეწეს
## 2 დემეტრაძე აშვეთია

**სასიამოვნო** ამბავი მოვიდა სამხრეთიდან. გუშინ რუსეთის პრემიერლიგის მორიგ ტურში ვლადიკავკაზის „ალანიამ" მოსკოვის „ზილს" უმასპინძლა და უკან ერთბაშად ოთხი ქართული გოლით გაისტუმრა. აშვეთიასა და ვლადიკავკაზში ერთი კვირის წინ დაბრუნებული დემეტრაძის წყვილ გოლებს შუა მოსკოველებს ერთიც ბაზაევმა შეუგდო. საბოლოოდ ოსურმა გუნდმა 5:2 გაიმარჯვა და გუშინვე „როსტსელმაშმა" და „ანჟიმ" ქულები რომ დაკარგეს, „ალანიამ" ოდნავ ამოისუნთქა.

*მიხეილ აშვეთია*

— გავიხარეთ და გავახარეთ ვლადიკავკაზელი ქომაგები. ცენტრალური სტადიონი სავსე იყო, მხარდაჭერა არ გვაკლდა. გუნდის ხელმძღვანელობის შეცვლისა და ახალი ფეხბურთელების დამატების შემდეგ „ალანია", ვფიქრობ, საგრძნობლად მოღონიერდა. სანკტ პეტერბურგშიც ტოლ-სწორად ვეთამაშეთ „ზენიტს" და დღეს შემიძლია ვთქვა, რომ მოსკოველები მიწასთან გავასწორეთ. ეს კი პირველ ყოვლისა ჩვენი, ქართველების დამსახურებაა. ჯერ იყო და, ჩემს პასს პენალტი მოჰყვა და დემეტრაძემ გაიტანა, მერე საჯარიმოდან ჩაწოდებულ ბურთს თავით შევწვდი და მეკარისგან შორეულ კუთხეში შევაგდე. ჩემი მეორე გოლი კი დემეტრაძის პასს მივაყოლე. რა ვიცი, ასე თუ გავაგრძელეთ, არა მგონია, ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაგვიჭირდეს. ახლა 16 ივლისს გველის ერთი პრინციპული მატჩი, სარატოვში „სოკოლს" ვესტუმრებით და თუ იქაც მოვიგეთ, ჩათვალეთ, არ გავარდებით.

*გიორგი დემეტრაძე*

— ვერ წარმოიდგენთ, როგორ შემხვდნენ ვლადიკავკაზში. ნამატჩევს კი იმდენი ხალხი შემომეხვია, კინაღამ გავიგუდე. კმაყოფილი ვარ, მგონი, ნელ-ნელა სასურველ ფორმას ვუახლოვდები. ტრავმა აღარ მაწუხებს. ვლადიკავკაზში ერთი კვირაა სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. ერთი გოლი პენალტით გავიტანე, მერე კი ჩაწოდებულ ბურთზე საჯარიმოში მეტოქე მცველებს დავასწარი და მეკარეს აუღებელი დავურტყი. ერთიც საგოლე პასი გავაკეთე. პირველსავე მატჩში მეტი რაღა მექნა? ვლადიკავკაზში ნოემბრამდე, რუსეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე დავრჩები, მერე ვნახოთ, ან „სოსიედადში" დავბრუნდები, ანაც ბელგიურ „ბრიუგეში" ვითამაშებ. „ალანიაში" კი, მიუხედავად იმისა, რომ ესპანურზე უკეთესი პირობები მაქვს და ხელმძღვანელობიდან დაწყებული ქომაგებით დამთავრებული ყველა პატივს მცემს, ალბათ, სამომავლოდ აღარ დავრჩები.

ვლადიკავკაზის „ალანიას" პრეს-სამსახურის თქმით, რომელსაც წუხელვე დავუკავშირდით, „ზილთან" მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებად სწორედ მიხეილ აშვეთია და გიორგი დემეტრაძე დაასახელეს.

**კობა ინასარიძე**



გიორგი დემეტრაძემ და მიხეილ აშვეთიამ „ალანიას" იმედი დაუბრუნეს

რესტორანი მზიანი ღამე




განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე
* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით
კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით



ალექსანდრე ჩივაძემ, ვალერი ჩოლარიამ და მერაბ ჟორდანიამ ფედერაციის სალარო შეავსეს

# როგორ ვიშოვოთ 30 000?
## საგანგებო კომიტეტმა აღმასკომის წევრობა ათი ათასად დააფასა

**გუშინ** საგანგებო კომიტეტმა ფეხბურთის ფედერაციისთვის ერთ საათში 30 ათასი ლარი გამოიმუშავა. ყოველი დღე ფინანსურად ასე მომგებიანი რომ იყოს, მაშინ ქართული ფეხბურთის ბედს ბევრი ინატრებდა.

მერაბ ჟორდანიას, ვალერი ჩოლარიას და ალექსანდრე ჩივაძის გუშინდელ ვერდიქტში ცუდი ის არის, რომ ფედერაციამ ფული თავისი სუბიექტების დასჯის ხარჯზე იშოვა. თუმცა ეს ისეთი გადაწყვეტილება იყო, რაზეც საგანგებო კომიტეტს ვერავინ შეედავება, პირიქით, ტრიუმვირატმა, ერთი შეხედვით, ლოიალური განაჩენიც კი გამოიტანა.

საფეხბურთო კლუბი „დინამო“ 10 ათასი ლარით დაჯარიმდა, ამდენივე საურავი დააკისრეს ზესტაფონის „მეტალურგს“ და თბილისის ფეხბურთის ფედერაციას. „დინამოს“ დირექტორატის წევრს და კლუბის იურისტს, ნიკოლოზ კობალავას, საგანგებო კომიტეტის ვერდიქტი სასაცილოდ არ ეყო. 10 ათასი ნამდვილად არ არის ის ფული „დინამოს“ სალაროს რამე დააკლოს. „მეტალურგს“ და თბილისის ფედერაციას კი ვინმე თუ არ დაეხმარა, იმ თანხის გადამხდელები ნამდვილად არ არიან.

ფედერაციისგან დასჯილებმა ათ-ათი ათასი ორ კვირაში უნდა გადაიხადონ. როგორც ვთქვით, „დინამოს“ არ უჭირს, „მეტალურგმა“ კი ფული თუ ვერ იშოვა, მაშინ ორი კვირის შემდეგ პირველ ლიგაში ჩააქვეითებენ, კიდევ ორ კვირაში რეგიონულ ლიგაში გამოუძებნიან ადგილს, ათი ათასი კი მაინც გადასახდელი ექნება.

თბილისის ფედერაციას გაუქმება ნამდვილად არ ემუქრება, მაგრამ მის თავკაც ავთანდილ კოკაიას ფეხბურთიდან მოკვეთა და ყრილობაზე გადამწყვეტი ხმის გარეშე დარჩენა ელის.

საგანგებო კომიტეტი „დინამოს“, „მეტალურგისა“ და თბილისის ფედერაციის სამოქალაქო სასამართლოში შეტანილმა სარჩელმა განარისხა. საფეხბურთო კლუბების დირექტორები და თბილისის ფედერაციის თავკაცი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოსგან ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომში ვლადიმერ გოგიაშვილის, ნიკოლოზ კობალავას და გიორგი ჯაოშვილის დანიშვნას ითხოვდნენ.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ საქმე განუხილველად უკან დააბრუნა. მოსარჩელეები ხათაბალას გადაეყარნენ, ხოლო ფეხბურთის ფედერაცია მხოლოდ შენიშვნა ერგო — წესდება დახვეწეთო, შეუთვალეს სასამართლოდან.

საგანგებო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე „დინამოს“ ნიკოლოზ კობალავა წარმოადგენდა, „მეტალურგს“ გიორგი პატარაია, ხოლო თბილისის ფედერაციიდან გუშინ ვაკეში არავინ გამოჩენილა.

მერაბ ჟორდანიას ბევრი არ ულაპარაკია, საფეხბურთო საქმის სამოქალაქო სასამართლოში გადატანის მიზეზი მოითხოვა და „მომჩივანთ“ წინ ფიფა-უეფას და სფფ-ს წესდება დაუდო, სადაც გარკვევით წერია, რომ მსგავსი მოქმედებები იკრძალება.

ნიკოლოზ კობალავამ სცადა, დაემტკიცებინა, რომ ფედერაციასთან სადავო არაფერი აქვთ. სასამართლოში შეტანილი სარჩელი საქმის უდავო წარმოებას ითვალისწინებდაო, მაგრამ საგანგებო კომიტეტის დარწმუნება კობალავამ ვერ მოახერხა. კობალავამაც მშვიდად მოისმინა განაჩენი, თუმცა მანამდე „დინამოს“ იურისტმა და ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რამდენიმე ტკბილი სიტყვა გაცვალეს.

„მეტალურგის“ წარმომადგენელს საბოლოო ვერდიქტის მოსმენის შემდეგ დანა პირს არ უხსნიდა. გიორგი პატარაიამ აღმასკომში ასარჩევი სამი კანდიდატურიდან მხოლოდ გიორგი ჯაოშვილს ვიცნობ, ზესტაფონელი კაცია და მისი აღმასკომის წევრობა „მეტალურგსაც“ წაადგებოდა, ასე ადვილად ვერ დაგვჩაგრავენო.

საგანგებო კომიტეტს „დინამოს“ დამატებით 5 ათასი ლარით დასჯაც ჰქონდა ჩაფიქრებული. უეფამ გვისაყვედურა, ჩვენგან დამოუკიდებლად კლუბის უსაფრთხოების ოფიცერ გია ისაინისთვის უეფას ერთ-ერთ კომიტეტში რეკომენდაცია გაგიწევიათო — წყენა არ დაუფარავს მერაბ ჟორდანიას.

თუმცა ეს პრობლემა რამდენიმე წუთში მოგვარდა, ნიკოლოზ კობალავას განმარტებამ, რეკომენდაციით კი არა, უბრალო წერილით შევბედეთ უეფასო, ფედერაციის თავკაცები დააკმაყოფილა.

კომიტეტის სხდომაზე ისიც გაიხსენეს, რამდენჯერ გადაიხადა ფედერაციამ უეფაში ფული „დინამოს“ სანაცვლოდ. პირველი ის 20 ათასი იყო, „მრეტების“ საქმისგან რომ დარჩა. მაშინაც სამოქალაქო სასამართლოში ირჩეოდა საფეხბურთო საქმე და იმდროინდელი გამოცდილება გუშინ წაადგა ფედერაციის თავკაცს. „დინამოს“ ბოლო დავალიანება, შარშან ზაფხულში, უეფას თასზე მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების სანაცვლო 9 ათასი ფრანკიც ფედერაციას დაუფარავს. ნიკოლოზ კობალავამ ქართული ფეხბურთის თავკაცები უმალ დაამშვიდა, უეფას თასზე მონაწილეობისთვის ფულს რომ გადმოგვირიცხავენ, იქიდან თქვენი წილი დაიტოვეთო.

ბოლოს ყველაფერი უხმაუროდ დამთავრდა. გუშინ მერაბ ჟორდანიას კაბინეტში ზოგს წარბიც არ შერხევია, ზოგიც გულდამძიმებული ტოვებდა პრეზიდენტის სამუშაო ოთახს. ორი კვირაც მალე გაივლის და საგანგებო კომიტეტის მიერ გამოტანილ განაჩენზე ლაპარაკი საბოლოოდ მაშინ დავასრულოთ.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ვესტუმროთ ევროპულად, ვისტუმროთ ქართულად
## ალექსანდრე ჩივაძე დებიუტზე ჩაფიქრდა

**გუშინ** ფეხბურთის ფედერაციაში შვეიცარიიდან ორი ფაქსი მიიღეს. ერთმა ძალიან გაახარა ქართული ფეხბურთის თავკაცები, მეორეს კი უმალვე უარით უპასუხეს.

უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს ხელმძღვანელი ერიხ ეპლე იტყობინება, რომ ქართული ფეხბურთის სახლის გახსნის ცერემონიალზე უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი და თქვენი მონამორჩილი გესტუმრებითო. ფედერაციის ახალი ოფისი ივლისის ბოლოს ან აგვისტოს დასაწყისში გაიხსნება, უეფას ჩინოსნებმა კი საქართველოში სტუმრობის ნება საბოლოოდ დაადასტურეს.

რაც შეეხება მეორე ცნობას, შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაცია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ქართველთა ეროვნული გუნდის მასპინძლობას 7-ის ნაცვლად 8 სექტემბერს ბაზელში აპირებს, მაგრამ...

— ჩვენ ხელთ გვაქვს უეფას დამტკიცებული კალენდარი. შვეიცარიასთან სტუმრად 7 სექტემბერს გვეკუთვნის სტუმრობა. ამისთვის თადარიგი ნაადრევად დავიჭირეთ, ჩარტერული რეისი, ნაკრების გერმანული შეკრება და უკან გამომგზავრება, ყველაფერი დაგეგმილ-შეთანხმებულია. ერთი დღით გვიან თამაში კი არაერთ ახალ პრობლემას შეგვიქმნის და მომავალ მასპინძლებსაც უარი ვკადრეთ — გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას შვეიცარიელთა წინადადების გაგონებაც აღარ სურს.

თავად ნაკრების თავკაც ალექსანდრე ჩივაძეს რუსებთან და ირლანდიელებთან მომავალ დაპირისპირებებზე მეტად შვეიცარიასთან პირველი თამაში აღარდებს.

— მსოფლიოს ჩემპიონატმა ირლანდიელების ნამდვილი ძალა რეალურად დაგვანახა. როი კინის გუნდიდან წასვლამ მიკ მაკარტის ბიჭები კიდევ უფრო ბრძოლისუნარიანნი და მიზანმიმართულნი გახადა. გუნდი უფრო შეიკრა და გაძლიერდა.

რუსეთის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი დაუნიშნეს. ვალერი გაზაევს ქართველებზე უკეთ ვინ იცნობს. ჩვენ მეგობრები ვართ, საბჭოთა ნაკრებში და „დინამოშიც“ ერთად გვითამაშია, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. რუსები ბოლო ამხანაგურ მატჩს 21 აგვისტოს, შვედებთან ითამაშებენ. იმ დღეს ჩვენ ესტონეთში ვსტუმრობთ. რუსების და შვედების დაპირისპირების ვიდეოჩანაწერს მე და ჩემი თანაშემწეები მოგვიანებით გავარჩევთ, ჯერ შვეიცარიასთან სადებიუტო მატჩია ჩემი უპირველესი საფიქრალი.

ალექსანდრე ჩივაძე უეფას აღმასკომის სხდომაზე იყო მიპატიჟებული, რომელიც ხვალ და ზეგ ნიონში მოეწყობა. იქაური ჩინოსნები, მოგეხსენებათ, რა ხანია, ცდილობენ, ჩივაძე მოიხელთონ და დააჯილდოვონ ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. ბატონი საშა ვერც ამჯერად ეწვევა უეფას და იქაურებს ისღა დარჩენიათ, ერთი თვის შემდეგ, თბილისში, ახალი ოფისის პრეზენტაციისას გადასცენ კუთვნილი ჯილდო ქართველ მწვრთნელს.

გერმანიაში კი მიემგზავრება ალექსანდრე ჩივაძე. 17 ივლისს „დინამო“ „ფრაიბურგს“ ამხანაგურად გაეჯიბრება და ნაკრების თავკაციც ეროვნული გუნდის კანდიდატებს საქმეში იხილავს.

**მამუკა ქვანტალიანი**

# 850 კილომეტრი ქუთაისიდან ქუთაისამდე
## ტორპედომ თურქეთი ორ დღეში მოიარა

**უცნაური ამბავი** შეემთხვათ ქუთაისური კლუბის მესვეურებს. 6 ივლისს ჩემპიონი „ტორპედო“ თურქეთში გაისტუმრეს შეკრებაზე, 8 ივლისს დილის ექვს საათზე ალექსანდრ შტელინმა საღორიას ბაზას მიაყენა გუნდი. რამ აიძულა რიონისპირელები 850 კილომეტრი წინ და უკან ტყუილუბრალოდ ევლოთ, ამაზე თავად ტორპედოელები მოგიყვებიან...



ალექსანდრ შტელინი

— თურქეთში პატარა ქალაქ აკჯააბატში უნდა გვევარჯიშა. იქ ჩასულებს კი მოსამზადებლად ხელსაყრელი პირობები არ დაგვხვდა და უკან გამობრუნება ვარჩიეთ. საყოფაცხოვრებო პირობები იდეალური არ იყო, თუმც არც ცუდი ეთქმოდა, მაგრამ სავარჯიშო მოედანზე შესვლა, სადაც ადგილობრივი გუნდიც ვარჯიშობდა, დღეში ერთხელ შეგვეძლო. ჩვენ ბალახისსაფარიან მოედანზე ორჯერადი ვარჯიში გვსურდა, ვერ შევთანხმდით და უკან გამოვემგზავრეთ.

„ტორპედო“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე სათამაშოდ საკუთარ ბაზაზე მოემზადება. ახალი უცხოური შეკრების ორგანიზებისთვის დრო აღარ რჩება.

რიონისპირელები ფარერების „B36“-ს 17 ივლისს დაუპირისპირდებიან.

სადღეისოდ ალექსანდრ შტელინმა გუნდიდან ორი ფეხბურთელი დაითხოვა. ნახევარმცველი გივი კვარაცხელია და ფორვარდი ვლადიმერ ქუთათელაძე მწვრთნელმა არ მოიწონა. „ტორპედო“ უახლეს საკონტროლო მატჩს 13 ივლისს თბილისურ „ვიტ ჯორჯიასთან“ გამართავს. შეხვედრის ადგილი ჯერ შეთანხმებული არ არის, თუმც ქუთაისელთა სურვილია, ვეტერანები სტუმრად იწვიონ.

**იუზა ქაციტაძე** *ქუთაისიდან*

# თორმეტი და ჟორჟიკაშვილი
## პირველი ლიგა დაითარსა

**ძალიან** გაუჯანჯლდა ფეხბურთის ფედერაციას პირველი ლიგის გათამაშების კალენდრის შედგენა-გამოქვეყნება. ერთი შეხედვით დრო თავსაყრელადაა, დაბალ ლიგაში თამაშები 31 აგვისტოდან იწყება, მაგრამ ფედერაცია რაღაც სიახლეს რომ გეგმავდა, ცხადი იყო.

საშეჯიბრო კომიტეტი აღმასკომის წევრებს სიახლეს სთავაზობს, პირველ ლიგაში 13 გუნდი ითამაშებს, გათამაშება კი ძველებური სისტემით, ორ წრედ ჩატარდება. არ იქნება ექვსეულებად დაყოფა და ქულების განახევრება.

ადრე ცნობილ თორმეტეულს 31 აგვისტოდან კობა ჟორჟიკაშვილის ცხრამეტწლამდელები დაემატებიან, რომლებიც ჩემპიონატში უკონკურსოდ ითამაშებენ. ჟორჟიკაშვილის გუნდი ვერაფრით აღზევდება უმაღლესში და არც ლიგიდან დაქვეითება დაემუქრება.

„ჩვენ ვერც ერთ კლუბს ვერ ვაიძულებთ, თავისი ფეხბურთელები ნაკრებს მთელი წელიწადით დაუთმოს. თუ რომელიმე გუნდი გულისხმიერებას გამოიჩენს და ნაკრების ინტერესებს გაითავისებს, მაშინ ფედერაცია გარანტიას იძლევა, რომ მათი ნებართვის გარეშე მოთამაშის გასხვისებას ვერავინ გაბედავს. არადა, ნაკრების ძირითადი ბირთვი მაინც იკრიბება და მთელი წლის მანძილზე ერთად ბურთაობა შესარჩევ ეტაპზე გამოადგებათ“ — ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე დარწმუნებულია გადაწყვეტილების სისწორეში.

რა და როგორ იქნება, ამას დრო გვაჩვენებს, მანამდე აღმასკომის წევრები, ალბათ, დასტურს მისცემენ ფედერაციის წინადადებას, მაგრამ გასაკვირი ის უფროა, რომ თავად ცხრამეტწლამდელთა გუნდის თავკაცმა არაფერი იცის ფედერაციის სიახლეზე. ყოველ შემთხვევაში, გუშინ ასე იყო.

ჩვენი აზრით, უფრო უკეთესი ის იქნებოდა, ჟორჟიკაშვილს აქაური და უცხოური შეკრებებისთვის ფართო არჩევანი ჰქონოდა, თუმც იქნებ ფედერაციის გადაწყვეტილებამაც ივარგოს და ნაკრების წარმატების საწინდარიც გახდეს.

კიდევ ერთი სიახლე, რასაც ფედერაცია გვთავაზობს, რეგიონულ ლიგას შეეხება. ახალი სეზონიდან დასავლეთ ზონას სამეგრელოს და იმერეთის ფედერაციები მოუვლიან, ცენტრალურს აფხაზეთის ფედერაცია უხელმძღვანელებს, ხოლო თბილისისას აღმოსავლეთი დარჩება. აქ სადავოც თითქმის არაფერია, რეგიონულ ლიგაში მოთამაშე გუნდებს სამგზავრო ხარჯები შეუმცირდებათ და მეტი ყურადღებაც მიექცევათ.

**მამუკა ქვანტალიანი**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
ჩვენი მეტოქე

# კოლოსალური ბლეფი

## კოლოსკოვმა გაზაევს რუსეთი აკიდა და გადაკიდა

*დიდი აურზაურია რუსულ საფეხბურთო სამყაროში, აურზაური, რომელიც ზედმიწევნით წააგავს ქართულ ფეხბურთში ამას წინათ დატრიალებულ მოვლენებს.*

*რუსეთის საფეხბურთო კავშირმა 8 ივლისს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ვალერი გაზაევი დანიშნა. ვიაჩესლავ კოლოსკოვმა, რომელიც ათი წელია რუსულ ფეხბურთს სათავეში უდგას, სპეციალისტ-გულშემატკივართა აზრით, უგუნური გადაწყვეტილება მიიღო...*



რუსეთი

**ყველაფერი** კი 14 ივნისს დაიწყო. იმ დღეს ჩაფლავდა რუსთა სამუნდიალო გეგმები, ოლეგ რომანცევის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის ქვეჯგუფის ბოლო მატჩში ბელგიასთან დამარცხდა და რომანცევმა გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება. მომდევნო დღეს კოლოსკოვმა რომანცევს გადაწყვეტილება დაუწუნა, მაგრამ „სპარტაკისა" და რუსთა ნაკრების მწვრთნელი თავისაზე დადგა. 20 ივნისს კი მსხვილმა ბიზნესმენებმა, „ლუკოილის" და იუკოს-ის მეპატრონეებმა ლეონიდ ფედუნმა და ვასილი შახნოვსკიმ სენსაციური განცხადება გააკეთეს. თქვენ უცხოელი სპეციალისტი შეიგულეთ სანაკრებოდ და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ მხარეს მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებთო — თქვეს ბიზნესმაგნატებმა და ისედაც საუცხოელმწვრთნელოდ დაგეშილმა რუსულმა პრესამ კიდევ უფრო შეუნთო ცეცხლი ვიაჩესლავ კოლოსკოვს.

მთავარი მოვლენების ქრონიკას მივყვეთ: 26 ივნისს რუსთა გაძლოლის სურვილი დანიელმა რიქარდ მიოლერ-ნილსენმა გამოთქვა. ნილსენის მხად ვარ მიმსახურეთ, კოლოსკოვმა უარყო, ამ კაცთან არანაირი მოლაპარაკება არ მქონია, მე უცხოელ კანდიდატთა ჩემეული სია მაქვს და ამ მხრივ ვმუშაობო, თქვა მან. კოლოსკოვის სია კი ასეთი იყო: პარეირა, ტრუსიე, ტარდელი, შტილიკე, შეფერი. მოგვიანებით ამათ კოლოსკოვმა ზემოთნახსენები ნილსენიც დაუმატა, მაგრამ ეს უფრო ფანდს ჰგავდა, რომელიც მედიელთა ყურადღების გასაფანტად იყო საჭირო. კოლოსკოვს საქმე რუსულად მიჰყავდა და ნაკრების მწვრთნელი რეალურად სამ კანდიდატს შორის იყო საძებნელი: ორი იური — მოროზოვი, სიომინი და ვალერი გაზაევი.

6 ივლისს საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ვალერი დრაგანოვის განცხადებამ რუსული საფეხბურთო სამყაროს 80 პროცენტი (ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის მოწვევას რომ ითხოვდა) შოკში ჩააგდო. აღმასკომზე ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატურებს განვიხილავთ და გარწმუნებთ, მათ შორის უცხოელ სპეციალისტს თვალით ვერ ნახავთო, თქვა დრაგანოვმა და უმრავლესობა უძლური აღმოჩნდა. ფიფა-უეფაში ავტორიტეტულმა რუსული ფეხბურთის ნომერ პირველმა ჩინოსანმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა გრიალ-გრიალით, ერთხმად მიაღებინა დელეგატებს გაზაევის კანდიდატურა.

გაგახსენდათ ქართული სიტუაცია? ჩვენთანაც გაუთავებელი საუბარი იყო უცხოელ მწვრთნელზე, მილუტინოვიჩი, ფინკე, ისევ ბოსკამპი, ისაო, ესაო და ბოლოს სფფ-ის თავკაცმა მერაბ ჟორდანიამ ქვეყნის უპირველესი გუნდის სათავეში ალექსანდრე ჩივაძე დააბრუნა. რუსებს კი ჯერაც არ გაუვლიათ ის გზა, ჩვენ რომ გავიარეთ. საქართველოში ხომ უკვე შეეცადნენ უცხოელი მწვრთნელით ვითარების გამოსწორებას, მაგრამ არა მგონია, ამ ფაქტორით რაიმე პლუსი გვქონდეს ჩრდილოელ მეზობლებთან, თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთში გაცილებით დიდია გამოცდილ სამამულო მწვრთნელთა არჩევანი, მიუხედავად ამისა, 8 ივლისის გადაწყვეტილებას უცუდესს უწოდებენ დიდ სამეზობლოში. მომხდარს ბევრი წამგებიან როქად მიიჩნევს. აი, საამისო პირველი არგუმენტიც: პარალელურად კლუბში დასაქმებული ნაკრების ერთი მწვრთნელი მეორემ შეცვალა.

გაზაევს ყელში ამოუყვანეს არმიელობა. ცსკა-ში და ნაკრებში გაზაევის ერთდროულად მუშაობა რუსულ ფეხბურთს სიკეთეს არ მოუტანსო, ამბობენ რუსები. ახალი საფეხბურთო საუკუნე ყველასთვის არ დამდგარა. რუსეთი ადგილზე გაიყინა. ისტორიის გაკვეთილები იმიტომაა საინტერესო, რომ ისტორიულ შეცდომებზე რაღაც ისწავლო. ჩვენთან სწავლა არ უნდათ — ამ სიტყვებით გამოეხმაურა „იზვესტია" 8 ივლისის აღმასკომს. „სპორტ ექსპრესმა" კი წარსულში ცნობილი რუსი ფეხბურთელები შეაწუხა და მათი მოსაზრებები შეუთავსა კოლოსკოვზე დატეხილ კრიტიკას.

**ევგენი ლოვჩევი:** ამ ქვეყანაში არ შეიძლება რუსეთის საფეხბურთო კავშირისგან დამოუკიდებელი ნაკრების მწვრთნელის არსებობა.

*სერგეი იურანი:* ჩემთვის მიუღებელია ნაკრების სათავეში გაზაევის დანიშვნა. ეს არაფერს კარგს არ მოგვიტანს. რა აზრი ჰქონდა რომანცევის შეცვლას, თუკი გაზაევიც კლუბში მუშაობას გააგრძელებს? გაუგებარია, რატომ ლაპარაკობდა საფეხბურთო კავშირი უცხოელ მწვრთნელზე, როდესაც გადაწყვეტილი ჰქონია ყველაფერი. რუსულმა ფეხბურთმა დიდი ნაბიჯი გადადგა უკან.

*ალექსანდრე ბუბნოვმა* კი მოკლედ მოჭრა, კომედიაზე კომენტარს არ ვაკეთებო.

მიუხედავად თავსდატეხილი საინფორმაციო წნეხისა, კოლოსკოვი მშვიდი, გაწონასწორებული და ცოტა ცინიკურიცაა.

გადაწყვეტილების მიღებამდე პლატინის და ენდი როქსბურგს დავეკითხე შერჩეულ კანდიდატებზე, მათ თავიანთი მოსაზრება გამიზიარეს და ვერც ერთს გაუწიეს რეკომენდაცია. ყველა წამყვანი უცხოელი სპეციალისტი, ასეთი კი დღეს ათამდე თუ მოიძებნება, დაკავებულია. მეორეხარისხოვანი უმუშევრები კი რუსეთის ნაკრებში არ მჭირდება, ჩვენ ფეხბურთს აღმოსავლეთევროპული ფეხბურთის კარგი მცოდნე სპეციალისტი მოუტანს ხეირს, ასეთი კი გაზაევიაო, თქვა კოლოსკოვმა, რომელსაც ჟურნალისტებმა ჩეხი დუშან უგრინი შეახსენეს, აღმოსავლეთ ევროპულ სტილს ისიც კარგად ამუღამებს და რატომ არ შეეხმიანეთო. არც კი გამიგია, ვინ არის უგრინიო, მოჭრა კოლოსკოვმა.

რაღა თქმა უნდა, ყველა არაა გაზაევის წინააღმდეგი. ასეთები კი უპირველესად ფეხბურთელები არიან, რომლებიც ეგებ სხვას ფიქრობენ, მაგრამ კარიერის დაკარგვის შიშით სხვაგვარად და ერთ ნოტაზე ჭიკჭიკებენ. ვალერი გიორგევიჩი ჩინებული სპეციალისტია და ნაკრებში ბევრ რამეს სასიკეთოდ შეცვლისო, ამას ამბობენ ნიგმატულინიდან ბესჩასტნიხამდე.

ასეა თუ ისე, ოქტომბერში საქართველოში რუსებს ვალერი გაზაევი ჩამოუძღვება. ქართველთათვის კარგად ნაცნობი გაზაევი. მას ყოველთვის ხიბლავდა ქართველებთან ურთიერთობა. გავიხსენოთ 1995 წლის „ალანია", ერთადერთი გუნდი, დროებით, მაგრამ მაინც რომ დაამხო „სპარტაკის" ბატონობა რუსეთის ჩემპიონატში. ახლა ისიც ვთქვათ, თუ რამდენ ქართველს უთამაშია გაზაევისეულ „ალანიაში". შელია, ცხადაძე, გრიშიკაშვილი, ჯამარაული, ყაველაშვილი, გახოკიძე, კობიაშვილი, ჩალაძე, წერეთელი, აშვეთია, ხვადაგიანი, რეხვიაშვილი, დემეტრაძე. გაზაევმა მოთამაშის კარიერის ნაწილი თბილისის „დინამოსაც" უძღვნა. იგი 1986 წელს მოსკოვის „დინამოდან" გადმოვიდა თბილისში და 14 მატჩიც ჩაატარა იმ ალექსანდრე ჩივაძის მხარდამხარ, რომლის ოპონენტობაც მოუწევს 12 ოქტომბერს.

როგორია მწვრთნელ გაზაევის პლიუს-მინუსები? რა მიღწევები და ჩავარდნები ჰქონია მას?

„ალანიური" ტრიუმფის გარდა გაზაევს საერთო ჯამში წარმატებულად უთვლიან რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მუშაობასაც. 2001 წელს მისმა დამოძღვრილმა გუნდმა ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა, მათ შორის 10:0 დაამარცხა ლუქსემბურგი. ათი წლის წინ გაზაევი ერთი-ორი ხმაურიანი გამარჯვების გამომჭედად მოგვევლინა. უეფას თასის მეთექვსმეტედფინალურ მატჩში მისმა „დინამომ" სტუმრად „ტორინო" დააჩოქა, მერვედფინალში კი „რუსენბორგი" გადაყლაპა — 5:1 თუმცა იყო სკანდალური ჩავარდნებიც. 1993 წელი „დინამო" — „აინტრახტი" 0:6, 1996 — „ალანია" — „რეინჯერსი" 2:7, ერთი წლის შემდეგ „ალანიასვე" საშინაო მარცხი მტკ-სთან (0:3).

გაზაევის საუკეთესო სახე მისი დღევანდელი ცსკაა, შეკრული ორგანიზებული გუნდი. 3-5-2-ის მოტრფიალე ულვაშა მწვრთნელი შეტევაზეა ორიენტირებული და რუსული პრემიერლიგის ლაბირინთებში დღემდე წარმატებით ომობს. გაზაევი ამბიციურიცაა და სანაკრებო პლუსად ისიც ჩაეთვლება, რომ ახალგაზრდულ გუნდთან მუშაობის გამოცდილება აქვს და შესაძლოა, უმტკივნეულოც გახადოს მობერებული რუსთა ნაკრების გაახალგაზრდავების პროცესი.

გაზაევს ნაკლად გარკვეულწილად ისიც ჩაეთვლება, რომ რამდენადაც კარგი პრაქტიკოსია, იმდენად მოიკოჭლებს საფეხბურთო თეორიაში. ხშირად ავანტიურაზეც მიდის — უტევს მაშინ, როდესაც ამის საჭიროება არ არის და ბევრჯერ ამას სავალალო შედეგიც მოჰყოლია. მაგალითად, რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების ფრეც გამოდგება შვეიცარიელებთან. ქვეჯგუფის საშინაო ბოლო მატჩში სწორედ გაზაევის ტაქტიკური ჩავარდნის წყალობით დაკარგეს რუსებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზური. ჩვენ კი ის ვიკითხოთ, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის „ორთავა არწივის" მომთვინიერებლად გაზაევის დანიშვნას.

უმთავრესი ის არის, რომ გაზაევი ნაკრების გადახალისებას აპირებს. თქვა კიდეც ამის შესახებ პრესკონფერენციაზე. გაზაევმა იმის თქმაც არ დაიზარა, რომ რომანცევს ჩავარდნა ჰქონდა კანდიდატთა შერჩევაში. სავარაუდოდ, გაზაევის გამაახალგაზრდავებელი ხელი რუსეთის ნაკრებს აგვისტოშივე დაეტყობა შვედების წინააღმდეგ საკონტროლო მატჩში. სახეშეცვლილი ნაკრების დალევინება ოქტომბრამდე რომ ვერ მოესწრება, ფაქტია და ეგებ ეს იყოს კიდეც ქართველთა შანსი.

**ბაატა ძგანტალიანი**



ვალერი გაზაევს თბილისის „დინამოს" მაისურა თოთხმეტჯერ მოურგია



ალექსანდრე ჩივაძე და ვალერი გაზაევი
მეგობრობასაც ნაჩვევნი არიან და მეტოქეობასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქა მშვიდობა!

## სლოვენია პრაშნიკარს ჩააბარეს



ბოიარ პრაშნიკარი

შეგახსენებთ, რომ მუნდიალზე ესპანელებთან 1:3 წაგების შემდეგ ზაჰოვიჩი კატანეცს აუხირდა, რაც შემცვალეო. მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის სერიოზული გაწევ-გამოწევა მოხდა, რის მერეც ზაჰოვიჩი სამშობლოში გააბრუნეს, კატანეცმა კი თქვა, ნაკრებში გამჩერებელი აღარ ვარო, ხოლო დარჩენილი მატჩები მან და მისმა გუნდმა წაგებებითვე ჩაამთავრეს.

პრაშნიკარის გაწვრთნილი „მარიბორი" წლეულს მეექვსედ გახდა სლოვენიის ჩემპიონი. აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელებული წესის თანახმად, პრაშნიკარი ნაკრებთან ერთად კლუბშიც გააგრძელებს მუშაობას.

სლოვენიის ნაკრების თავკაცობა პრაშნიკარისთვის უცხო არაა. იგი 1991-93 წლებშიც იქ მუშაობდა, მაგრამ ხეირი ვერ ნახა. მეორედ 1997 წლის დეკემბერში მივიდა და პოსტზე ოთხი თვე გაძლო, რის მერეც კატანეცით შეცვალეს. ახლა მესამედმისულს პირველი გამოცდა აგვისტოში იტალიელებთან ელის. 7 სექტემბრიდან კი იმ გზას დაადგება, რომელიც მის წინამორბედს უკვე გავლილი აქვს — მალტასთან მატჩით ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაება. კატანეცმა, მოგეხსენებათ, კვალიფიკაციის გავლა ორჯერ მოახერხა, როცა სლოვენია ჯერ კონტინენტის, მერე კი მსოფლიოს პირველობებზე გაიყვანა.

**მსოფლიოს ჩემპიონატზე** სრეჩკო კატანეცსა და ზლატკო ზაჰოვიჩს შორის მომხდარმა ჩხუბმა, რის მერეც ზაჰოვიჩს ნაკრები დაატოვებინეს, ხოლო კატანეცი თავად გადადგა, სლოვენიის ფეხბურთის ფედერაცია ახალ მწვრთნელზე ჩააფიქრა.

წინა ოთხშაბათს მოფიქრებული ვარიანტი გუშინწინ ოფიციალურად გაფორმდა — სლოვენიის ნაკრები ოთხი წლით „მარიბორის" მწვრთნელ ბოიარ პრაშნიკარს ჩააბარეს.

**ირაკლი ბერტაია**

# ფრანგული წვრილმანი

**საფრანგეთის ნაკრების** ყოფილმა ფეხბურთელმა ფლორიან მორისმა „ბასტიასთან" გააფორმა კონტრაქტი. კლუბის განცხადებით, მასთან ერთად „რენიდან" ჟოსლინ გუვერნეკიც გადავიდა.

2000-2001 წლების სეზონში მორისი „მარსელის" საკუთრება იყო, ოღონდ ესპანურ „სელტაში" გახლდათ განათხოვრებული. ფეხბურთელის სამწუხაროდ, ტრავმამ მას მთელი ორი წლით არ მისცა გასაქანი, დღეს კი, გამოჯანმრთელებულმა, „ბასტიას" მიაკითხა.



ფლორიან მორისი

„მარსელთან" ყველაფერი მოვაგვარე და თავისუფალი აგენტი გავხდი — განაცხადა პრესკონფერენციაზე 28 წლის თავდამსხმელმა — მართალია, მწვრთნელ ალენ პერენს ჩემი დატოვება სურდა, მაგრამ მოედანზე რეგულარულად ყოფნის გარანტიას ვერ მაძლევდა, „ბასტიაში" კი ძირითად შემადგენლობაში ვიქნები."

კიდევ უფრო ადრე მორისი „ლიონსა" და „პარი სენ ჟერმენში" თამაშობდა. საფრანგეთის ეროვნული გუნდის მაისურა კი ექვსჯერ მოირგო და ერთი ხანობა, მასზე დიდ იმედსაც ამყარებდნენ.

კორსიკელთა მეორე ახალწვეული გუვერნეკი კი მორისზე გაცილებით მეტს მოგზაურობდა გუნდიდან გუნდში. სხვადასხვა დროს იყო „ლორიანში", „რენში", „ნანტში", „მარსელში" და „მონაკოში". ბოლოს, როგორც მოგახსენეთ, ისევ „რენში" გამოდიოდა.

„ბასტიაში თავის კიდევ ერთხელ გამოჩენის შანსს მაძლევენ, ეს კი მომხიბვლელია" — თქვა ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ „ბასტია" წინა სეზონში მე-11 ადგილზე გავიდა.

**ბაჩუნა ძიძია**

# მეტიუ ომანის საზღვართან მაგრდება



ბრუნო მეტიუ

**სენეგალის ნაკრების** ფრანგი თავკაცი ბრუნო მეტიუ ამ კვირაში არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ჩავა, სადაც „ალ აინის" მწვრთნელობაზე უნდა დაითანხმონ. ეს ცნობა „ალ აინის" გენერალურმა მდივანმა გაავრცელა.

აქვე მოგახსენებთ, რომ ალ აინი ქალაქის სახელია და ეს ქალაქი ომანის საზღვართან მდებარეობს.

თურმე გუნდის ზედამხედველი, ჰამად ბინ ნაჰარათი, მეტიუსთან პარიზში ჩაფრენილა და მთელი ერთი კვირა ჩანგლავდა. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე სენეგალელებთან ერთად გაბრწყინების შემდეგ ფრანგ მწვრთნელზე თურქული „გაზიანთეფსფორიც" ნადირობდა და ერთი-ორჯერ რუსებსაც წამოსცდათ, ჩვენი ნაკრების სათავეში ხომ არ მოგვეწვიაო.

„ალ აინის" ბოლოს, ბოსნიელი ჯამალ ჰალი ხელმძღვანელობდა, რომელმაც თავის დროზე ცნობილი რუმინელი ანგელ იორდანესკუ შეცვალა.

**ბაჩუნა ძიძია**





ტერი ვენეიბლზი რიო ფერდინანდის გაყიდვის თაობაზე წინამორბედის აზრს იზიარებს

# ტერი ვენეიბლზი: მე ფერდინანდისგან გავაკეთებ...

„ლიდს იუნაიტედის" ახალდანიშნულ მწვრთნელს, ტერი ვენეიბლზს გამარჯობის თქმა არ დაემთავრებია, კლუბის ბოსებს რომ განუცხადა, რაღაც უნდა დაგვეთმოს, რიო ფერდინანდი უნდა შევინარჩუნოთო.

ვენეიბლზს დიდი გეგმები დაუსახავს და მთავარ იმედად ფერდინანდი შეუგულებია: „ნათელია, რომ კლუბს არაერთი ფეხბურთელი დატოვებს. მე იმ ხალხის შენარჩუნება მსურს, რომელთა გარშემოც ძლიერ გუნდს ჩამოვაყალიბებ. ასეთად, პირველ რიგში, რიო ფერდინანდს მივიჩნევ."

ფერდინანდი „ლიდს იუნაიტედმა" ორი წლის წინ „ვესტ ჰემიდან" 18 მილიონ გირვანქად გადაიყვანა. ახლა ფეხბურთელისთვის „მანჩესტერ იუნაიტედს" დაუდგამს თვალი და 25 მილიონი გირვანქის გადახდაზეც ყაბულსაა.

ფერდინანდის „ოლდ ტრეფორდზე" გადაბარგების შესახებ ხმები მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დაირხა, თუმცა თავად ფეხბურთელს ჯერ არაფერი უთქვამს. იგი ახლა დასასვენებლად ლას ვეგასშია და ამ საქმესაც შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ მოეფინება ნათელი.

ყოფილმა მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ კი მემკვიდრეზე თქვა: „ტერის მაღალი კლასის გუნდს ვუტოვებ, რომელსაც ძლიერი ფეხბურთელებიც ჰყავს და გამოცდილებაც საკმაო აქვს. ცოტა ბედიც რომ გაუღიმოს, ვფიქრობ, ჩემპიონობასაც მიაღწევს."

ამ ამბავში კი ერთადერთი უცნაურობა აა, რა არის: დევიდ ოლირი იმიტომ დაითხოვეს, რიო ფერდინანდის გაყიდვაზე არ თანხმდებოდაო, მაგრამ ვენეიბლზიც რომ ამავე აზრზეა?

**ირაკლი ბერტაია**

# იმუშავე წაგებამდე

**პოლონეთის ნაკრების** ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ზბიგნევ ბონეკმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ძვირადღირებული მწვრთნელი ვარო: „...მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე უფრო მეტს მიხდიან, ვიდრე ჩემს წინამორბედს. იმას ვგულისხმობ, რომ მეტოქეთა თამაშის შესასწავლად და ჩვენი ნაკრების თითოეული თამაშის შესამოწმებლად ბევრს ვიმოგზაურებ."



ზბიგნევ ბონეკი

ბონეკი თვლის, რომ მუნდიალზე ნაკრების ჯგუფში ჩარჩენის მერე გუნდში ცვლილებები აუცილებელია. დაცვაში და ნახევარდაცვაში მეტი ახალგაზრდა უნდა თამაშობდეს, თავდასხმაში კი პრობლემა არ არსებობს, ემანუელ ოლისადებესი მეიმედებაო. „უფრო სერიოზული ცვლილებებისთვის უბრალოდ, დრო აღარ გვეყოფა, ახალი შესარჩევი ციკლი ხომ შემოდგომაზე იწყება" — განაცხადა ბონეკმა.

კონტრაქტის პირობებზე კი 80-იანი წლების პოლონური ფეხბურთის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა თქვა: „ფეხბურთის ფედერაციასთან უვადო კონტრაქტი გავაფორმე. ეს ნიშნავს, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეიძლება სამსახურიდან დამითხოვონ."

ფედერაციის პრეზიდენტმა მიხალ ლისტკევიჩმა, რომელიც პრესკონფერენციას ესწრებოდა, ეს საკითხი უფრო განავრცო: „ჩვენ მისთვის კონკრეტული მიზანი არ დაგვისახავს, ისედაც გასაგებია, მწვრთნელს რაც მოეთხოვება — ნაკრების ევროპის 2004 წლის და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე გაყვანა."

დაბოლოს, პოლონეთში ბონეკი წარმატებულ ბიზნესმენად და შეძლებულ კაცად ითვლება.

**ზურაბ რუხაძე [illegible]**

# მოღალატე თურქები

**კვიპროსის** ამბავი მოგეხსენებათ: სამხრეთი ბერძნულია, ჩრდილოეთი — თურქული. და სწორედ ამიტომ დაეთმო საგანგებო ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბერძნული ნაწილის საფეხბურთო შეფებმა ჩრდილოელებს თავიანთ გუნდებში თამაშის ნება დართეს. მაგალითად, ლარნაკას აეკ-მა წინასწარი კონტრაქტები მავან ძმებთან, მუზაფერ და საბრი სელდენებთან გააფორმა, ანუ 1974 წლის შემდეგ გახდა პირველი სამხრეთული კლუბი, რომელმაც, კვიპროსელი თურქები დაიმატა.

21 წლის საბრი და 23 წლის მუზაფერი მანამდე „ბინათლი მორფუში" თამაშობდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, კუნძულის ბერძნული ნახევარი უფრო დიდ სარბიელად მიიჩნიეს (ცხოვრება რომ სამხრეთში სჯობს, ამაზე დავა არ შეიძლება) და თურქთათვის გაუგონარი საქციელი ჩაიდინეს. როგორც ამბობენ, საბრიმაც და მუზაფერმაც მთელი ბარგიბარხანა მოიკიდეს, ოჯახის წევრებს ხელი ჩასჭიდეს და ისე გადალახეს საზღვარი. ამ ხლაფორთისთვის აგენტმა სტავროს ქსენისმა პირადად გადაუხადა 2 ათასი ამერიკული დოლარი.

აღსანიშნავია, რომ თურქმა ფეხბურთელებმა ნიადაგი ადრევე მოსინჯეს, ჯერ კიდევ აპრილში, ოღონდ, მაშინ ბერძნებს მუზაფერის ნაცვლად საბრისთან ერთად მისმა ტყუპისცალმა რაიფმა მიაკითხა. შემდეგ რაიფი ჩრდილოეთში დაბრუნდა და იგი მუზაფერმა შეცვალა. მშობლიურ ჩრდილოეთში ძმები იმწუთასვე მოღალატეებად შერაცხეს.

როგორც ამბობენ, თურქები ბერძნული სალაროდან დაახლოებით სამჯერ მეტს მიიღებენ, ვიდრე მშობლიურ პროვინციაში იღებდნენ. ამასთან, კვიპროსის თურქული ნახევარი უეფას მიერ ცნობილი არ არის და იქაურ გუნდებს საერთაშორისო თამაშების ანუ ელემენტარული პროგრესის საშუალება არ აქვთ.



ხუან რომან რიკელმემ როგორც იქნა „ბარსელონასთან“ კონტრაქტი გააფორმა

# რიკელმე შიშს გაექცა

## არგენტინულმა კრიზისმა ბარსელონას ფული დაუზოგა

„ბარსელონას“ მარსელო ბიელსასგან სამსოფლიოსჩემპიონატოდ დაწუნებული უკვე მეორე ნიჭიერი არგენტინელი ჰყავს. ხავიერ სავიოლას გუშინ 24 წლის ხუან რომან რიკელმემ დაუმშვენა მხარი. კონტრაქტის ვადა ზუსტად არ არის ცნობილი, სავარაუდოდ, რიკელმემ 5-6 სეზონით დაუკავშირა ბედი კატალონიელებს.

სუპერტალანტში „ბარსამ“ ექვსი მილიონი ევრო ახლა ჩაუთვალა „ბოკა ხუნიორს“, დანარჩენ 5 მილიონს კი შემდგომი ორი სეზონის განმავლობაში გადაუხდის.

შეგახსენებთ, რომ რიკელმეს „ბარსელონაში“ გადასვლზე შარშანაც ლაპარაკობდნენ, თუმც მაშინ „ბოკამ“ 24 მილიონი დოლარი მოითხოვა. საბოლოოდ, არგენტინის ეკონომიკურმა კრიზისმა ბოკელებს ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ამჯობინებინა და ხანამ რიკელმეზე ფასი კიდევ უფრო დაიწევდა, სასწრაფოდ გაყიდეს.

სხვათა შორის, არგენტინიდან აბარგება თავად ხუან რომანსაც სურდა. საქართველოსი არ იყოს, მდიდარი ფეხბურთელების ძმებს არგენტინაშიც ერჩიან. გეხსომებათ, რიკელმეს ძმა რამდენიმე თვის წინ მოიტაცეს, გამოსასყიდზე ვაჭრობა სამასი ათასი დოლარიდან დაიწყეს და საბოლოოდ ამ თანხის ნახევარს დასჯერდნენ.

— მეც მემუქრებოდნენ და ჩემს ნათესავებსაც. მართალი გითხრათ, გვარიანი შიში ვჭამე — თქვა სამშვიდობოს თავდაღწეულმა რიკელმემ.

ამ ამბების შემდეგ არგენტინელის სატრანსფერო ამბები გასაიდუმლოვდა და მხოლოდ ბოლო მომენტში გახდა ცნობილი. ორ მატჩსაც ვითამაშებ „ბოკაში“ და ევროპაში წავალო, მხოლოდ ამას ამბობდა რიკელმე მაისში.

თავად კატალონიელთა ხელმძღვანელობა კი რეკლამირებული არგენტინელის იჯარით განათხოვრებასაც არ გამორიცხავს. ახლა „ბარსელონაში“ უკვე ხუთი არაევროკავშირელია, ესპანური წესებით კი მოედანზე ერთდროულად ოთხზე მეტის გაყვანა არ შეიძლება.

დანარჩენი არაევროკავშირელები რიკელმეს თანამემამულე ხავიერ სავიოლა და თანაკონტინენტელები — რივალდო, ჯოვანი და როშემბაკი არიან. ასე რომ, ყველაფერი ლუის ვან გაალზეა დამოკიდებული, რიკელმეს გაშვება-დატოვება მწვრთნელის სურვილზეა დამოკიდებული.

— ცხადია, ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, რომ ის შეიძლება იჯარით გავუშვათ. საბოლოოდ ყველაფერს უახლოეს კვირაში გადავწყვეტთ — დასძინა პრეზიდენტმა ხუან გასპარმა.

**სერგი ძორიძე**



ქირავდება აგარაკი კოჯორში

წაიყვანეთ ბავშვები, უკეთეს ადგილს სად ნახავთ

ფასი არ შეგაშინებთ

ტ: 899 91-66-11; 29-35-80 (საღამოს)

# პამპერსს რომ იყიდი, ბურთი არ დაგავიწყდეს!

**გერმანიამ**, რომელსაც ფავორიტად არავინ მიიჩნევდა, საბოლოოდ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ამოყო თავი. რის ხარჯზე შეძლეს გერმანელებმა ამის მიღწევა? ჩვეული დისციპლინის, შრომისმოყვარეობის და საქმისადმი სწორად მიდგომის ხარჯზე. ალარაფერს ვამბობთ, ფეხბურთის სიყვარულზე, რომლის შესახებაც ერთხელ ეგიდიუს ბრაუნმა (საფეხბურთო კავშირის ყოფილმა პრეზიდენტმა) ბრძანა: „ფეხბურთი გაცილებით მეტია, ვიდრე ±0“ — დიახაც, რომ მეტია.

ბურთის თამაში ბუნდესკანცლერ გერჰარდ შრიოდერსაც უყვარს. მართალია, იგი მოყვარული ფეხბურთელის დონეს ვერ გასცდა, მაგრამ, გერმანულ გაზეთებში ხშირად ნახავთ მობურთალი შრიოდერის ფოტოს. კანცლერს საფეხბურთო წვრილმანებიც კარგად ესმის, ამიტომ ამა თუ იმ მატჩზე კომენტარსაც ხშირად სთხოვენ.

ქვეყნის პირველი პირი და სხვა მაღალჩინოსნები პერიოდულად საფეხბურთო კავშირის სხდომებსაც ესწრებიან. ეცნობიან პრობლემებს და შეძლებისდაგვარად ეხმარებიან კიდეც. ეს იმას ნიშნავს, რომ აინტერესებთ და მონაწილეობენ ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში.



გერჰარდ შრიოდერი ბურთს და ბავშვებს მალიმალ ეთამაშება

გერმანიის საფეხბურთო კავშირი საუკუნეზე მეტი ხნისაა. იგი 1900 წლის 28 იანვარს დაარსდა. მაშინ ლაიფციგის სასტუმრო „მარიენგარტენში“ 86 კლუბის წარმომადგენელი შეიკრიბა და გაერთიანდა.

დღეს კავშირი დაახლოებით ექვს მილიონ ადამიანს აერთიანებს — 27 ათასი საფეხბურთო კლუბი, 168 ათასზე მეტი ბავშვთა თუ ქალთა გუნდი და 77 ათასი მსაჯი. ყველაფერი ეს რეალურად არსებობს, ანუ თუ მაგალითად, სადმე ბავშვთა გუნდი შეიქმნა, ჩათვალეთ, რომ ნამდვილად ასეა, თან გუნდს აქვს ყველა პირობა მომავალი ფეხბურთელის აღსაზრდელად.

გსმენიათ რამე, ეგრეთ წოდებული „პამპერს-ლიგის“ შესახებ? გერმანიაში არის ასეთი ლიგა, რომელშიც ბურთს 4-5 წლის ბავშვები დააგელვებენ. მატჩები ისეთ ხასხასა გაზონებზე ტარდება, ბევრ უცხოურ კლუბს არც დაესიზმრება. ბავშვები „ადიდასის“ კოპწია ფორმებში არიან გამოწყობილნი, მწვრთნელები, თითქოს ბუნდესლიგის მატჩი იყოსო, წარამარა სკამიდან წამოხტებიან და მითითებებს იძლევიან, მსაჯებად ნამდვილი მსაჯები არიან მივლენილნი. მოკლედ, ისეთი პირობებია შექმნილი, ნიჭიერი ბავშვები ფეხბურთელებად ვერ იქცნენ, უბრალოდ შეუძლებელია.

— დათოს ძალიან უცნაური რამ შეემთხვა, ერთ-ერთ ვარჯიშზე მასთან უცნობი მივიდა და ფრენბურთზე გადასვლა შესთავაზა, თან გაცილებით უკეთეს პირობებს შეჰპირდა. მეც არ ვიცოდი, თურმე შვანგირაძე ბავშვობაში ფრენბურთს მისდევდა და მერე გადმოსულა კალათბურთზე. ასე რომ, დიდი ფიქრის გარეშე დაეთანხმა შემოთავაზებულ წინადადებას. როგორც გავიგე, საკმაოდ წარმატებულად გამოსდის დათოს ფრენბურთის თამაში.

**— წლეულს „სლოვანის" ქართველები ხმაურიან სკანდალშიც გაეხვიეთ. არ შეიძლება, ამაზეც არ გკითხოთ...**

— ამის შესახებ თქვენს გაზეთში უკვე ბევრი დაიწერა, რაც მოხდა, უკვე იცით, ბევრს ვერაფერს დავამატებ. „ჰელიოსის" ბელარუსი ლეგიონერი ლაშკევიჩი თამაშისას არაკორექტულად მექცეოდა, უხამს სიტყვებს იძახდა. მატჩი რომ დამთავრდა, გასახდელამდე ველარ მოვითმინე და წავუთაქე, მერე ჩვენი ბიჭებიც წამომეშველნენ და ლაშკევიჩი გვარიანად შემოგველახა. მე ხუთი თამაშით მომცეს დისკვალიფიკაცია, კოტე ტუღუშს — სამით, პატარები გადარჩნენ.

**— თავშიც თქვით, დიდი შანსია, კლუბი გამოვიცვალოო. თუ სასურველი წინადადება არ გამოჩნდა, სლოვენიაში როდის დაბრუნდებით?**

— „სლოვანი" 22 ივლისს იწყებს მომზადებას, თუმც ივო სუნარამ ქართველებს ერთი კვირით გაგვიხანგრძლივა შვებულება. სავარაუდოდ, 30-ში ჩავალ ლიუბლიანაში და მერე, ალბათ, კურორტ რადოვლიცაში გავემგზავრებით, ფიზიკურ წვრთნას ტრადიციულად იქ გავდივართ.

**გიორგი ბიძაშვილი**

# ფიბა-ევროპა VS ულები

## თასი, მტრობა და ფულები

**ახლა უკვე** შეიძლება იმის თქმა, რომ ულებ-ისა და ფიბა-ევროპის გაერთიანების იდეამ ჩაილურის წყალი დალია. 7 ივლისს ბარსელონაში კიდევ ერთი, ამჯერად ულებ-ის მიერ ორგანიზებული ტურნირი მოევლინა ევროპას. ამ შეჯიბრის წესდებაში ვკითხულობთ: „კლუბები, რომლებიც უარყოფენ ახალდაარსებულ ულებ-ის თასს და მონაწილეობას მიიღებენ ფიბა-ევროპის რომელიმე ტურნირში, ვეღარასოდეს ითამაშებენ ულებ-ის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში".

მოკლედ, ამ ორგანიზაციებმა უკვე ღიად დაიწყეს კლუბების გადაბირება და შედეგად ახალი ევროტურნირიც გამოცხვა. ულებ-ის თასს 32 გუნდი გაითამაშებს, რომლებიც თავიდან ოთხ ჯგუფში განაწილდებიან. მომდევნო ეტაპზე მათი ნახევარი გააღწევს და თასისკენ მერვედფინალიდან დაიძვრებიან. ფინალამდე გუნდები მიმოსვლით ივლიან, თასის მფლობელს კი ერთი მატჩით გამოავლენენ.

ულებ-მა მისი თასის გათამაშებაში ყველაზე მეტი (4) ადგილი ესპანეთს, იტალიასა და საბერძნეთს არგუნა. სამ-სამ გუნდს დასჯერდებიან საფრანგეთი და ადრიატიკის ლიგაში მოთამაშე პოსტიუგოსლავიური ქვეყნები. ორ-ორი წარმომადგენელი ეყოლებათ გერმანიას, ბელგიასა და პორტუგალიას. თურქეთს, ისრაელს, რუსეთს, იუგოსლავიას, პოლონეთს, შვეიცარიასა და დიდ ბრიტანეთს — თითო.

მაგრამ ჯერ არ არის ცნობილი, ეს რომელი კლუბები იქნებიან. ულებ-ი თასის გათამაშებაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციას 16 ივლისიდან იწყებს. შეგახსენებთ, რომ ფიბა-ევროპას ასეთ თარიღად 17 ივლისი აქვს გამოცხადებული.

**ირაკლი ბერტაია**

# ბენეტონი ნიკას მერე

## კინდერის ვუნდერი ტრევიზოში ჩავიდა



ეტორე მესინამ ნადანტონარი „ბენეტონი" ჩაიბარა

**მრავალი** მითქმა-მოთქმისა და ვაჭრობის შემდეგ „კინდერის" მწვრთნელყოფილი ეტორე მესინა „ბენეტონს" ჩაუდგა სათავეში. მან ბოლონიური გუნდი ორი კვირის წინ დატოვა და მას შემდეგ რა კლუბს აღარ უკავშირებდნენ მის სახელს. იმასაც ამბობდნენ, მესინას მოსკოვის ცსკა-ს მწვრთნელობა გადაწყვეტილი ამბავიაო, მაგრამ იტალიელმა რუსეთის ნაკრების თავკაცობაც მოინდომა და ეს საქმე იმიტომ არ გამოვიდაო.

ასეა თუ ისე, ნიკა ცქიტიშვილთან ერთად ნბა-ში წასულ მაიკ დანტონის („ფინიქსის" მეორე მწვრთნელად იმუშავებს) ნაცვლად „ბენეტონს" ახალი დამრიგებელი ჰყავს. მესინა ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და ტიტულიანი მწვრთნელია იტალიაში. ტრევიზოელთა 43 წლის ახალ თავკაცს ამ საქმის 26-წლიანი (!) სტაჟი აქვს.

ბავშვობაში მესინა კალათბურთელობაზე ოცნებობდა, მაგრამ რატომღაც 17 წლისამ თამაშს თავი ანება და ვენეციის „რეიერის" მწვრთნელთაგანი გახდა. მას შემდეგ მესინამ მრავალი იტალიური გუნდი გამოიცვალა, ძირითადად მთავარ მწვრთნელებს ასისტენტობდა. პირველ სერიოზულ წარმატებას „კინდერში" 1989-90 წლების სეზონში მიაღწია, როცა ბოლონიურ კლუბს იტალიის თასი და ევროპის თასის მფლობელთა თასი მოაგებინა.

1993 წლიდან მესინა იტალიის ნაკრებს ხელმძღვანელობდა და 1997 წლის ევროპის ჩემპიონატზე ფინალამდე მიიყვანა, სადაც იტალიელები იუგოსლავიელებთან დამარცხდნენ. იმ წელს დაუბრუნდა ის „კინდერს" და ამ გუნდის ოქროს ხანას დაუდო სათავე. მესინას თავკაცობით ბოლონიელებმა 1998 და 2001 წლებში ევროლიგა მოიგეს. მისი მესაჭეობით „კინდერს" ბოლო ოთხ წელიწადში 21 სხვადასხვა ფინალში უთამაშია და 11-ში უმარჯვია.

ეტორე მესინა „ბენეტონის" მე-15 მწვრთნელია, რაც ეს გუნდი სერია A-ში თამაშობს.



ახლა სერენა უილიამსის დროა. ახლა და, ალბათ, კარგა ხანსაც

# სერენა მეთერთმეტე პირველია

ბოლოდროინდელმა თავბრუდამხვევმა წარმატებებმა 20 წლის სერენა უილიამსი ქალთა კლასიფიკაციის უპირველეს საფეხურზეც შეასკუპა. იგი მეთერთმეტე ქალი მეჩოგნეა, ვისაც 1975 წლის 3 ნოემბრიდან მოყოლებული — ანუ მას შემდეგ, რაც კომპიუტერული რეიტინგსიები დგინდება — ქალთა საჩოგნეთში გაპირველების პატივი ერგო.

და ეს არც არავის გაპკვირვებია.

გასულ კვირას სერენამ თავის ზედიზედ მესამე სლემფინალში ითამაშა (წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობა არ ითვლება, რადგანაც ეს ტურნირი მან კოჭის ტრავმის გამო გამოტოვა). უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მან მხოლოდ 4 შეხვედრა წააგო, ტიტულმარაგი 6 ერთეულით გაიმდიდრა და აგერ უკვე 18 შეხვედრაა, კორტს გამარჯვებული ტოვებს — ასეთი რამ წლეულს სხვას არავის გამოსვლია.

ხოლო სანამ საკუთრივ რეიტინგსიებს გაეცნობოდეთ, ვინძლო აქვე წარმოდგენილ ორ სიაშიც ჩაგეხედათ. პირველ მათგანში ის თერთმეტი ქალია ჩამოთვლილი, ვინაც კი ოდესმე კლასიფიკაციის კენწეროში მდგარა. ამ სიიდანვე შეიტყობთ თითოეული მათგანის პირველობის ხანგრძლივობას კვირებით გამოხატულს და მათი გაპირველჩოგნების თარიღს.

ხოლო მეორე სია იმას გამცნობთ, თუ როგორ გადადიოდა ქალთა უპირველესი ჩოგანი ხელიდან ხელში 2001 წლის 8 ოქტომბრიდან დღემდე. მაშ ასე:

## ვინ რამდენი კვირა იპირველა

| | | |
|---|---|---|
| შტეფი გრაფი (გერმანია) | 378 | 1987 წლის 17 აგვისტო |
| მარტინა ნავრატილოვა (აშშ) | 331 | 1978 წლის 10 ივლისი |
| კრის ევერტი (აშშ) | 262 | 1975 წლის 3 ნოემბერი |
| მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 209 | 1997 წლის 31 მარტი |
| მონიკა სელეში (აშშ) | 178 | 1991 წლის 11 მარტი |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 37 | 1998 წლის 12 ოქტომბერი |
| ტრეისი ოსტინი (აშშ) | 22 | 1980 წლის 7 აპრილი |
| ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 17 | 2001 წლის 15 ოქტომბერი |
| არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 12 | 1995 წლის 6 თებერვალი |
| ვინუს უილიამსი (აშშ) | 11 | 2002 წლის 25 თებერვალი |
| სერენა უილიამსი (აშშ) | 1 | 2002 წლის 8 ივლისი |

## ჩოგანი წრეში

| | |
|---|---|
| 2001 წლის 8-14 ოქტომბერი | მარტინა ჰინგისი (მისი 73-კვირიანი პირველობის ბოლო კვირა) |
| 15 ოქტომბერი — 4 ნოემბერი | ჯენიფერ კაპრიატი |
| 5 ნოემბერი — 2002 წლის 13 იანვარი | ლინდსი დევენპორტი |
| 14 იანვარი — 24 თებერვალი | ჯენიფერ კაპრიატი |
| 25 თებერვალი — 17 მარტი | ვინუს უილიამსი |
| 18 მარტი — 21 აპრილი | ჯენიფერ კაპრიატი |
| 22 აპრილი — 19 მაისი | ვინუს უილიამსი |
| 20 მაისი — 9 ივნისი | ჯენიფერ კაპრიატი |
| 10 ივნისი — 7 ივლისი | ვინუს უილიამსი |
| 8 ივლისი — ? | სერენა უილიამსი |

და კიდევ — კაცთა ნუსხებში ყველაზე შთამბეჭდავი ნახტომები, ბუნებრივია, უიმბლდონზე ნაჩაუქვმა მეჩოგნეებმა გააკეთეს. არგენტინელ დავიდ ნალბანდიანს ფინალისტობა დაუფასდა, ბელგიელ ქსავიე მალისს — ნახევარფინალისტობა, ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტი კი ზეოცეულებში მეოთხედფინალამდე ჩოგნაობის შედეგად ალზევდა.

# ბორგი-კონორსი-აგასი-ჰიუიტი

## უკანა ხაზი ბრუნდება

პიტ სამპრასი ხშირად ორი გეიმის განმავლობაში უფრო მეტ ეისს აწოდებდა, ვიდრე ჰიუიტმა და ნალბანდიანმა კვირას სამი სეტის განმავლობაში მოაწოდეს. მეორე მხრივ, ეს უკანასკნელნი მარტო ერთი გათამაშების დროს მიწიდან არეკნილ ბურთს უფრო ხშირად ურტყამდნენ, ვიდრე სამპრასი ამას მთელი მატჩის განმავლობაში აკეთებდა.

ბიორნ ბორგი, ჯიმი კონორსი, ანდრე აგასი და ახლა ჰიუიტი — ამ ოთხის გარდა ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1969 წლიდან დღემდე უიმბლდონის მოგება არც ერთ სხვა უკანახაზელს არ მოუხერხებია.

ისეთი რამ, რომ ფინალში უკანახაზიდან მოთამაშე ორ მეჩოგნე დაპირისპირებოდა, ჰიუიტ — ნალბანდიანის შეხვედრამდე 24-25 წლის განმავლობაში, ბორგისა და კონორსის 1977-78 წლების ფინალთა შემდეგ აღარ მომხდარა.

მოკლედ — უკანა ხაზიდან თამაში ცენტრალურ კორტს დაუბრუნდა.

დაუბრუნდა, მაგრამ როდემდე?

ისტორია გვავარაუდებინებს, რომ ჰიუიტის წლევანდელი წარმატება ანომალია უფროა, ვიდრე კანონზომიერება ანდა ახალი ეპოქის დასაწყისი. თავად განსაჯეთ: კონორსი აქ ბოლოჯერ 1982-ში გაჩემპიონდა, აგასის ზეობა 1992-ზე მოდის, აგასიდან წლევანდლამდე კი უიმბლდონი ვერც ერთმა უკანახაზელმა ვერ მოიგო.

მიზეზი მარტივია — ბალახსაფარი, რომელზეც ბურთი დაბლა და სწრაფად სხლტება, ბრგე, მძლავრად მომწოდებელსა და ბადესთან მიმძალებელ მოთამაშეებს უფრო სწყალობს. და ასე იქნება ყოველთვის.

უკანა ხაზიდან მოგება მოითხოვს ხისტი დაბრუნებებისა და მყარი ნამიწევი დარტყმების იშვიათ კომბინაციას. ამასთან, გონიერებასა და უმარდეს ფეხებს, სიცქაფესა და გამძლეობას, რათა, ერთი მხრივ, წინ უსწრებდე მოვლენებს, მეორე მხრივ კი მთელ კორტზე ბურთის დევნის უნარი გაგაჩნდეს. აგასი ყოველთვის უკანახაზის ცენტრშია და ქულებს კუთხიდან კუთხეში გაშვებული დაბალი, დამთრგუნველი ნამიწევი დარტყმებით აგროვებს. ის არ არის ისეთი ფეხმარდი, როგორიც სხვა უკანახაზელები, მაგრამ საოცარი ალღოს წყალობით ყოველთვის ახერხებს იმას, რომ ბურთს საჭირო დროს და საჭირო ადგილზე დაუხვდეს. არავის აქვს მასზე სწრაფი დაბრუნებები და არავის შეუძლია მასზე ადრე დაარტყას ალმავალ ბურთს.

კონორსი ასევე დაბალ ნამიწევ დარტყმებს უშვებდა, ისე, რომ ბურთი ოდნავ სცდებოდა ბადეს. ის მისი ეპოქის საუკეთესო დამბრუნებელი გახლდათ, თუმცა ხშირად უკნიდან ხათქა-ხუთქს არ კმარობდა და შეტევაზეც გადადიოდა.

ჰიუიტი უფრო ბორგივითაა და შეპასუხებას უფრო არჩევს, ვიდრე გათამაშების პირობების კარნახს.

„იგი ბორგია, ოღონდ ნაკლებ ჩამხუჭუჭებული" — თქვა მასზე ბრაიან გოტფრიდმა, 70-იანი წლების სახელოვანმა მეჩოგნემ, როცა მის უიმბლდონურ გარჯას აკვირდებოდა.

ბორგი, ვინც უიმბლდონზე 1976-80 წლებში ზედიზედ ხუთჯერ იმარჯვა, წმინდა უკანახაზელი იყო და მაღალ, ჩახვეულ დარტყმებს ეყრდნობოდა, თუმცა კორტის მიწურულს მან შეძლო, ბალახსაფარზე თამაშის ყაიდა გაემდიდრებინა და უფრო აგრესიული სტილი შეეთვისებინა.

შესაძლოა, ჰიუიტიც ასე მოიქცეს. მართალია, ის მსუბუქია, მაგრამ 120-მილიანი მოწოდება აქვს და ჩინებულად ურტყამს დაუმიწებელ ბურთებს. რაც უფრო მეტად მუშაობს ის თავის მოწოდებაზე, უფრო მეტად რწმუნდება იმაში, რომ ბალახზე გამარჯვება ხელეწიფება. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ჰიუიტი უკვე ზედიზედ სამი წელია, უიმბლდონისთვის მოსამზადებელ ქუინზკლაბურ ტურნირზე იმარჯვებს.

მაგრამ უკანახაზიდან უიმბლდონის ზედიზედ აოხრება მაინც ძალზე ძნელი საქმეა.

წლეულს ჰიუიტმა ეს შეძლო — ოღონდ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მრავალმა მოულოდნელობამ მას უფრო მძლავრ მეტოქეებთან დაპირისპირება აარიდა.

უიმბლდონის მომავალი ალბათ მაინც უფრო ბრგე ბიჭებს ეკუთვნით.

**სტივ უილსტაინი**

**ASSOCIATED PRESS**

**ავსტრალიისთვის** 15 წლის განმავლობაში მოუგებელი საუიმბლდონო ჯილდოს მოგებამ ლეიტონ ჰიუიტს მისდამი აშკარად არაკეთილგანწყობილი ავსტრალიური პუბლიკის გულიც მოაგებინა და მასთან არამეგობრულ მასმედიის დროებითი აღიარებაც მოუტანა.

ყველა უმთავრესი გაზეთის სარბიელო პირველგვერდები მისი ისტორიული გამარჯვების სურათებით აჭრელებულიყო, ხოლო პოლიტიკოსები, ყოფილი მოთამაშეები და თვით მისი უმკაცრესი კრიტიკოსებიც კი, თავს ვალდებულად რაცხდნენ, მის მიმართ საკადრისი ხოტბები აღევლინათ.

ავსტრალიის ევროპაში მოვიზიტე პრემიერ მინისტრმა, ჯონ ჰოუარდმა განაცხადა, რომ ჰიუიტმა მილიონობით სპორტის ტრფიალი ავსტრალიელი გააბედნიერა, რომ მისი ეს წარმატება მთელი ქვეყნის სიამაყეა და, რომ მას წინ არაჩვეულებრივი მომავალი ელოდება.

ხოლო სამხრეთ ავსტრალიის პრემიერმა მაიკ რენმა აღნიშნა, რომ შტატის ახალ სპორტულ გმირს მშობლიურ სანახებში ფრიადი აღლუმებითა და შეღლუხებით დაუხვდებიან.

როგორც სიდნეური „დეილი ტელეგრაფის" საპირველგვერდო სათაური იუწყება „ლეიტონმა უკვდავებაში შეაბიჯა"

„სიდნეი მორნინგ ჰერალდის" აზრით, ეს გამარჯვება აიძულებს ავსტრალიელებს, ბოლოს და ბოლოს, მეტი სიმპათიით მოეპყრან ჰიუიტს. წერილში, რომლის სათაურიცაა — „ცუდი ბიჭი ლეგენდად იქცევა", ვკითხულობთ:

„ის არ არის მაინცდამაინც დასაჯერებელი. არც ძალიან დასამახსოვრებელი ვინმე გახლავთ. მაგრამ ასეთია თუ ისეთი, საჩოგბურთო სამყარომ და უწინარესად კი ავსტრალიამ უნდა „დაიწყოს" მისი სიყვარული — არა იმის გამო, რაც ის დღეს არის, არამედ იმის გამო, რასაც ის გვპირდება, რომ იქნება".

მიუხედავად მისი წარმატებებისა, ჰიუიტის საკორტო ჯღანვა-შმაგობანი მრავალი ფანის აღშფოთებას იწვევს და ავსტრალიაში იგი არ არის ისეთი ცალსახა თაყვანისცემის ობიექტი, როგორიც, თუნდაც პატ რაფტერი ანაც ჯონ ნიუკომბი არიან.

ისტორიას არცთუ ასაკოვანი ჰიუიტის მრავალი უხაქციელობა ახსოვს.

ერთხელ მან მშობლიური ადელაიდის ქომაგებს „შტერები" უძახა იმის გამო, რომ ისინი მის მეტოქეს აგულიანებდნენ, 2001 წლის როლან გაროსზე კი მთავარი მსაჯის ლანძღვისთვის დააჯარიმეს.

იმავე წლის ამერიკის ღია პირველობაზე იგი ჯეიმს ბლეიკის წინააღმდეგ გაკეთებული რასისტული გამონათქვამების გამო გაიკიცხა, სულ ახლახან, რომაულ მასტერსტურნირზე კი მსაჯს შეკამათებულმა ნერვები ვეღარ მოთოკა და ისე გახელდა, რომ არბიტრს ბოლოს ბურთიც გაუქანა...

ამიტომაც კითხულობს გუშინდელი „ტაუნსვილ ბიულეტინი" — „შეიძლება კი ლეიტონის შეყვარება?".

კიმ კლაისტერსს თუ დავუჯერებთ, შეიძლება, მაგრამ ამჯერად ის სჯობს, ისევ გაზეთს დავუგდოთ ყური:

„ჰიუიტს ყველა ის თვისება აქვს, რის გამოც ავსტრალიელები თავიანთ სპორტსმენებს აღმერთებენ — გულწრფელი, ყოვლისწამლეკავი სურვილი, შენი ქვეყნის ღირსებას იცავდე, შეუპოვრობა და ჯიგარი. მაგრამ ისეთ სიქველეთა ნაკლებობა, რასაც მოკრძალება და სინატიფე ჰქვია — და რაც მის წინამავალ პატ რაფტერს ასეთ სათაყვანებელ პიროვნებად აქცევდა — ავსტრალიელთათვის ძალზედ ძნელ, და ვინძლო სულაც შეუძლებელ, საქმედ ხდიდეს მის შეყვარებას".

**ლევან ძელაურაძე**

# შეყვარდეთ, არ შეყვარდეთ?!

## ოფთა საკითხავი, აი, ეს არის

## ჩემპიონთა რბოლა

| | | |
|---|---|---|
| 1. (4) | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 524 |
| 2. (1) | მარატ საფინი (რუსეთი) | 397 |
| 3. (7) | ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 378 |
| 4. (2) | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 340 |
| 5. (3) | ანდრე აგასი (აშშ) | 332 |
| 6. (5) | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 324 |
| 7. (6) | ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 304 |
| 8. (8) | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 287 |
| 9. (9) | ტომი ჰაასი (გერმანია) | 273 |
| 10. (10) | ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 261 |
| 11. (28) | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 257 |
| 12. (11) | ენდი როდიკი (აშშ) | 238 |
| 13. (12) | იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 218 |
| 14. (13) | კარლოს მოია (ესპანეთი) | 208 |
| 15. (14) | გილერმო კანასი (არგენტინა) | 207 |
| 16. (38) | ქსავიე მალისი (ბელგია) | 193 |
| 17. (15) | გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 192 |
| 18. (24) | ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) | 185 |
| 19. (16) | სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 169 |
| 20. (19) | ანდრეი პაველი (რუმინეთი) | 167 |

## 12-თვიანი «მეოცავი» რეიტინგსიები

### ქალები

| | | |
|---|---|---|
| 1. (2) | სერენა უილიამსი (აშშ) | 5742 |
| 2. (1) | ვინუს უილიამსი (აშშ) | 4917 |
| 3. (3) | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 3947 |
| 4. (4) | მონიკა სელეში (აშშ) | 3906 |
| 5. (5) | კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 3168 |
| 6. (7) | ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) | 3076 |
| 7. (6) | ჟუსტინ ენენი (ბელგია) | 3005 |
| 8. (9) | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2814 |
| 9. (8) | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 2637 |
| 10. (11) | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2285 |
| 11. (10) | სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 2113 |
| 12. (12) | დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1950 |
| 13. (14) | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1711 |
| 14. (13) | სილვია ფარინა-ელია (იტალია) | 1685 |
| 15. (15) | ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 1480 |
| 16. (17) | ანა სმაშნოვა (ისრაელი) | 1337 |
| 17. (19) | მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1315 |
| 18. (21) | დაია ბედანოვა (ჩეხეთი) | 1289 |
| 19. (18) | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1282 |
| 20. (16) | მეგენ შონესი (აშშ) | 1271 |



სიყვარულს მალვა რად უნდა:
კიმ კლაისტერსი და ლეიტონ ჰიუიტი

### კაცები

| | | |
|---|---|---|
| 1. (1) | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 5110 |
| 2. (2) | მარატ საფინი (რუსეთი) | 3095 |
| 3. (3) | ტომი ჰაასი (გერმანია) | 2990 |
| 4. (5) | ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 2605 |
| 5. (6) | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 2575 |
| 6. (4) | ანდრე აგასი (აშშ) | 2310 |
| 7. (7) | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 2290 |
| 8. (8) | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 2165 |
| 9. (11) | ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 1960 |
| 10. (10) | სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 1945 |
| 11. (9) | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1915 |
| 12. (12) | ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 1875 |
| 13. (14) | ენდი როდიკი (აშშ) | 1825 |
| 14. (16) | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 1765 |
| 15. (32) | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1748 |
| 16. (13) | პიტ სამპრასი (აშშ) | 1715 |
| 17. (17) | გილერმო კანასი (არგენტინა) | 1585 |
| 18. (18) | იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 1545 |
| 19. (21) | ანდრეი პაველი (რუმინეთი) | 1510 |
| 20. (27) | ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) | 1460 |

## ტურ დე ფრანსი 2002

# ბედი ჭკვიანებს სწყალობს



REUTERS სააგენტოს ფოტოები

ოსკარ ფრეირე

**ლუქსემბურგში** სამდღიანი ვიზიტის შემდეგ ტურმა გერმანიის საზღვარი გადაკვეთა და გეზი საარბრუკენისკენ აიღო. მსოფლიოს უპირველესი მრავალდღიანი ამ ქვეყანას ბოლოს 2000 წელს ეწვია. გერმანულ მიწა-წყალზე გაიმართა ეტაპი ფრაიბურგი-ბრისკაო.

ტურის 1998 წლის ჩემპიონისა და სამგზის ვერცხლის პრიზიორის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის იან ულრიხის არყოფნას (მუხლის ტრავმამ შეუშალა ხელი) თითქოსდა უნდა გაენელებინა გერმანელთა ენთუზიაზმი, მაგრამ საზღვრიდან მოყოლებული საარბრუკენამდე გზის ორთავ მხარეს ჩამწკრივებული ხალხის რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, მსგავსი არაფერი მომხდარა. ჯერ ერთი გერმანულ „ტელეკომს" ერიკ ზაბელის მეთაურობით მაინც სჭირდებოდა ქომაგობა და მეორეც: როგორც ჩანს, ტურ დე ფრანსი კარგა ხანია, აღარ არის მხოლოდ ფრანგული მოვლენა, იგი საერთაშორისო შეჯიბრებად იქცა, ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით.

მესამე ეტაპი დაახლოებით ისეთივე სცენარით წარიმართა, როგორიც საერთოდ სჩვევია ვაკე-ეტაპებს. ათი კილომეტრიც არ ჰქონდათ გავლილი, როცა პელოტონს სამი „დედის წინ მორბენალი" გამოეყო და იმის შიშით, ემანდ არავინ დაგვედევნოსო, თავქუდმოგლეჯილმა მოუსვა. სამეულის სახელ-გვარები მკითხველს ბევრს ვერაფერს ეტყვის — ჰიშოვდი, შავანელი და ბერგერი, შესაბამისად „კრედიტ აგრიკოლი", „ბონჟური" და AG2R. წინ კიდევ 170 კილომეტრი იყო და პელოტონმაც, რა თქმა უნდა, ყურადღება არ მიაქცია ამ გამოხდომას. დრო გადიოდა, გაქცეულები თანდათან შორდებოდნენ ძირითად ჯგუფს. 85-ე კილომეტრზე, ეტაპის დაახლოებით შუა ნაწილში სხვაობამ 5 წუთს მიაღწია. დადევნება ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ ტურის ლიდერის, ბერტოლატის გუნდმა მაინც თავის დაზღვევა ამჯობინა — „ლამპრე" პელოტონის სათავეში მოექცა და ნელა, მაგრამ მეთოდურად დაიწყო ხუთწუთიანი განსხვავების აღმოფხვრა. მალე სამეულს ნორვეგიელი ჰიშოვდის სახით ერთი კაცი მოაკლდა და გაქცეულთა მიერ ეტაპის მოგების ისედაც მცირე შანსები ნულს გაუტოლდა. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ფეხატკივებული ნორვეგიელი სულ ცოტა ხანში პელოტონმა ჩაყლაპა, მერე ვერც იქ შეინარჩუნა პოზიცია — წამდაუწუმ ექიმი და მასაჟი სჭირდებოდა — და ფინიშთან სულ ბოლოს, დაახლოებით 20 წუთის დაგვიანებით მიჩანჩალდა.

პელოტონისა და გაქცეულთა კატათაგვობანა კი მაშინ დასრულდა, როცა ფინიშამდე 15 კილომეტრიღა რჩებოდა. ცოტა ხნით ადრე და დაახლოებით ამ მომენტისთვის კიდევ რამდენიმემ სცადა შეტევის განხორციელება, მაგრამ ყველა ეს მცდელობა ძირშივე აღიკვეთა.

სპრინტერული ფინიში საოცრად ლამაზი და დრამატული გამოდგა. „ტელეკომს" სრული საფუძველი ჰქონდა საიმისოდ, გერმანულ მიწაზე გერმანელსავე მოეგო ეტაპი. ამ სურვილს თუ პრეტენზიას ორი რამ ამაგრებდა. ერთი ამგვარ საქმეებში გუნდის შესანიშნავი ტრადიციები იყო, მეორე კი არაორაზროვნად ეწერა პირდაპირ ასფალტზე, სხვადასხვაფერი საღებავებით, თანაც არა ერთხელ და ორჯერ, ზაბელი... ზაბელი... ზაბელი... გერმანელი ქომაგი გამარჯვებას ითხოვდა.

ათობით სპრინტერული ფინიშის მოგები სპორტსმენებისა და მასპინძელთა სამწუხაროდ, ვეტერან მრბოლს ამჯერად ხელი მოეცარა. ფინიშის სწორზე თანაგუნდელებმა ერიკ ზაბელი კარგ პოზიციაზე კი გაიყვანეს, მაგრამ, ეტყობა, სათანადო სიჩქარე ვერ „აკრიფეს" (მოდი და ნუ დაგწყდება კაცს გული იან ულრიხის არყოფნით), რადგან ერიკს ჯერ ავსტრალიელმა რობი მაკივენმა აუარა გვერდი, მერე კი მაკივენის ზურგს უკან მოკალათებულმა ესპანელმა ოსკარ ფრეირემ გამოიჩინა ფხა — ზუსტად გათვალა ყველაფერი და მაშინღა დატოვა საფარი, როცა ფინიშამდე ოციოდე მეტრიღა რჩებოდა. ჭეშმარიტად — ბედი ჭკვიანებს სწყალობს.

**ირაკლი ბერიაშვილი**

### ტექნიკური შედეგები

**II ეტაპი. ლუქსემბურგი - საარბრიუკენი. 181 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ოსკარ ფრეირე („მაპეი", ესპანეთი | 4 სთ 19 წთ 51 წმ |
| 2. რობი მაკძივენი („ლოტო", ავსტრალია) | იგივე დრო |
| 3. ერიკ ზაბელი („ტელეკომი", გერმანია) | იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. რუბენს ბერტოლიატი („ლამპრე", შვეიცარია) | 9 სთ 18 წთ 12 წმ |
| 2. ერიკ ზაბელი | +2 წმ |
| 3. ლორან ჟალაბერი (CSC ტისკალი, საფრანგეთი) | +3 |
| 4. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | +3 |
| 5. რაიმონდას რუმსასი („ლოტო", ლიტვა) | +6 |
| 6. სანტიაგო ბოტერო („კელმე", კოლუმბია) | +7 |

**საუკეთესო სპრინტერი**

| | |
|---|---|
| 1. ერიკ ზაბელი | 62 ქულა |
| 2. ოსკარ ფრეირე | 57 |
| 3. რობი მაკძივენი | 56 |

**მთის მეფე**

| | |
|---|---|
| 1. შტეფან ბერგესი (AG2r, საფრანგეთი) | 26 ქულა |
| 2. ქრისტოფ მენგინი (FDJ, საფრანგეთი) | 23 |
| 3. ლუდო დირექსენსი („ლამპრე", ბელგია) | 15 |

**გუნდური**

| | |
|---|---|
| 1. CSC ტისკალი | 27 სთ 55 წთ 18 წმ |
| 2. კოფიდისი | +3 წმ |
| 3. US პოსტალი | +3 |



# შუმახერმა პროსტი ჩამოაპოდიუმა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**კვირას** სილვერსტოუნის ლეგენდარულ ავტოდრომზე ბრიტანული ეტაპის მოგებით მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა თავის უმდიდრეს კოლექციას კიდევ ორი მიღწევა შემატა. 60 გამარჯვება და 107 პოდიუმი ეტყობა, სამუდამო რეკორდებად დარჩება და მათ ახლოსაც ვერავინ გაეკარება. თავად მიხაელი კი საკუთარი მიღწევების ჭერს, ალბათ, კარგა გვარიანად ასწევს.

შარშანწინ მესამე საჩემპიონო ტიტულის მოპოვების შემდეგ შუმახერმა საქვეყნოდ დაიქადნა, კარიერის დასრულებამდე 70 რბოლის მოგებას და 1000 ქულის დაგროვებას შევეცდებიო. კარიერის ბოლომდე კიდევ ორი წელია, ჯერ მხოლოდ 33 წლის „წითელმა ბარონმა" კი უკვე 60 დიდი პრიზი მიითვალა და მალე 900-ქულიან ზღვარსაც დაძლევს. ასე რომ, დანაპირებს ვადამდე ადრე, გაისად, ალბათ შუა სეზონში აისრულებს.

შუმახერმა პირველი დიდი პრიზი (1992, ბელგია) თავის მე-18 რბოლაში მოიგო. მისთვის ყველაზე მოსავლიანი იყო 1995, 2000 და 2001 წლები, როცა ცხრა-ცხრა გამარჯვება მოიპოვა. მიმდინარე სეზონში ჯერჯერობით შვიდჯერ მიაღწია წარმატებას, ფინიშამდე კი შვიდი ეტაპია...

დიდი გერმანელის გამარჯვებები ეტაპების მიხედვით ასე ნაწილდება:

| | |
|---|---|
| ბელგია, მონაკო, კანადა, საფრანგეთი ბრაზილია, სან მარინო, ესპანეთი | 5 |
| იაპონია, ევროპა | 4 |
| იტალია, ავსტრალია, უნგრეთი | 3 |
| დიდი ბრიტანეთი, მალაიზია, წყნარი ოკეანე | 2 |
| გერმანია, არგენტინა, აშშ ავსტრია, პორტუგალია | 1 |

ფორმულა I-ის 53-წლიან ისტორიაში სტარტზე გასულ 595 პილოტთაგან თუნდაც ერთი რბოლის მოგება 91-მა მოახერხა. მათგან 25-ს ათი და მეტი გამარჯვება აქვს. სწორედ მათ სიას გთავაზობთ

| მრბოლი | ქვეყანა | მოგება | რბოლა | % |
|---|---|---|---|---|
| 1 მიხაელ შუმახერი | გერმანია | 60 | 172 | 34,9 |
| 2 ალენ პროსტი | საფრანგეთი | 51 | 199 | 25,6 |
| 3 აირტონ სენა | ბრაზილია | 41 | 161 | 25,5 |
| 4 ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | 31 | 187 | 16,6 |
| 5 ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | 27 | 99 | 27,3 |
| 6 ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | 25 | 72 | 34,7 |
| 7 ნიკი ლაუდა | ავსტრია | 25 | 171 | 14,6 |
| 8 ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | 24 | 51 | 47,0 |
| 9 ნელსონ პიკე | ბრაზილია | 23 | 204 | 11,3 |
| 10 დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 22 | 115 | 19,1 |
| 11 მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 19 | 159 | 12,0 |
| 12 სტირლინგ მოსი | დიდი ბრიტანეთი | 16 | 66 | 24,2 |
| 13 ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | 14 | 144 | 9,7 |
| 14 ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | 14 | 144 | 9,7 |
| 15 გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 14 | 176 | 8,0 |
| 16 ალბერტო ასკარი | იტალია | 13 | 32 | 40,6 |
| 17 ალან ჯოუნსი | ავსტრალია | 12 | 116 | 10,4 |
| 18 მარიო ანდრეტი | აშშ | 12 | 128 | 9,4 |
| 19 დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | 12 | 134 | 9,0 |
| 20 კარლოს რეუტმანი | არგენტინა | 12 | 146 | 8,2 |
| 21 ჟაკ ვილნევი | კანადა | 11 | 109 | 10,0 |
| 22 ჯეიმს ჰანტი | დიდი ბრიტანეთი | 10 | 92 | 10,9 |
| 23 ჯოდი შექტერი | სამხრეთ აფრიკა | 10 | 112 | 9,0 |
| 24 რონი პეტერსონი | შვედეთი | 10 | 123 | 8,2 |
| 25 გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 10 | 210 | 5,0 |

ახლა საპოდიუმო რეკორდზე. ოთხგზის ჩემპიონმა ალენ პროსტმა 13-წლიან კარიერაში 199 რბოლიდან 106 საპრიზო სამეულში დაასრულა. ფრანგი „პროფესორის" უკანასკნელი მიღწევის დასამხობად მიხაელ შუმახერს 11 სეზონი და 172 ეტაპი ეყო. პროცენტულად კი საპოდიუმო სიაში პირველობა ხუთგზის ჩემპიონ არგენტინელს, ხუან მანუელ ფანხიოს ეკუთვნის, რომელიც საშუალოდ ყოველ სამი რბოლიდან ორს იგებდა. ეს 68,6 პროცენტია, მიხაელის მაჩვენებელი 62,2 პროცენტს შეადგენს. პროსტი ბევრად უკანაა (53,3).

სამეფო რბოლების პოდიუმზე უამრავნი შემდგარან, ხოლო ისინი, ვინც ეს 30-ზე მეტჯერ შეძლო, არც ისე ბევრნი არიან.

**გია ახალაძე**

| მრბოლი | ქვეყანა | პოდიუმი | რბოლა |
|---|---|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | გერმანია | 107 (60, 31, 16) | 172 |
| 2. ალენ პროსტი | საფრანგეთი | 106 (51, 35, 20) | 199 |
| 3. აირტონ სენა | ბრაზილია | 80 (41, 23, 16) | 161 |
| 4. ნელსონ პიკე | ბრაზილია | 60 (23, 20, 17) | 204 |
| 5. ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | 59 (31, 16, 12) | 187 |
| 6. დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | 55 (12, 25, 18) | 134 |
| 7. ნიკი ლაუდა | ავსტრია | 54 (25, 20, 9) | 171 |
| 8. მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 51 (20, 14, 17) | 162 |
| 9. გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 47 (10, 17, 20) | 210 |
| 10. კარლოს რეუტმანი | არგენტინა | 45 (12, 13, 20) | 146 |
| 11. ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | 43 (27, 11, 5) | 99 |
| 12. დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 42 (22, 15, 5) | 115 |
| 13. რიკარდო პატრეზე | იტალია | 37 (6, 17, 14) | 256 |
| 14. გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 36 (14, 15, 7) | 176 |
| 15. ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | 35 (24, 10, 1) | 51 |
| 16. ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | 35 (14, 13, 8) | 144 |
| 17. ჯოდი შექტერი | სამხრეთ აფრიკა | 33 (10, 14, 9) | 112 |
| 18. დენის ჰალმი | ახალი ზელანდია | 33 (8, 9, 17) | 112 |
| 19. ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | 32 (25, 1, 6) | 72 |
| 20. ჟაკ ლეფიტი | საფრანგეთი | 32 (6, 10, 16) | 176 |
| 21. ჟან ალეზი | საფრანგეთი | 32 (1, 16, 15) | 201 |




მიხაელ შუმახერმა ალენ პროსტს ცხრა წლის რეკორდი ჩამოართვა

# სროლა

# ნინოს ხელი არ მღლება



[illegible] ფოტო

**ფინეთის** ქალაქ ლახტიში, ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჩვენთვის გასახარი ამბავი მოხდა.

ნინო სალუქვაძემ პნევმატური პისტოლეტით სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. საკვალიფიკაციო ეტაპზე ნინო 385 ქულით მეორე იყო. ფინალურ ეტაპზეც კარგად ისროლა და თავის მონაგარს 99,9 ქულა მიამატა, მაგრამ ჯამური 484 ქულა საჩემპიონოდ არ ეყო.

მსოფლიოს ჩემპიონი უკრაინელი ოლენა კოსტევიჩი გახდა, რომელმაც ნინოს 2 ქულით აჯობა. უკრაინელმა წლევანდელ კონტინენტის ჩემპიონობას მსოფლიოსიც დაურთო.

# მძლეოსნობა



ჟანა პინტუსევიჩი

# ჟანაჟამიერ!

**მსოფლიოს** უკრაინელი ჩემპიონი ჟანა პინტუსევიჩი კვირას 30 წლისა შესრულდა და ძალთა ისეთი მოზღვავება იგრძნო, რომ იუბილე 100 მეტრზე სეზონის საუკეთესო შედეგის — 10,84 წამი — დამყარებით აღნიშნა.

ეს საბერძნეთში, კრეტულ რეთიმნოში მოხდა, ზუსტად ორ დღეში მას შემდეგ, რაც რომ ამერიკელმა მარიონ ჯონსმა პარიზულ „სტად დე ფრანსზე" სეზონის საკუთარსავე საუკეთესო მაჩვენებელს წამის მეასედი ჩამარსა და წამზომი 10,89 წამზე გააქვავა.

კრეტაზე ახლა მშვენიერი დარებია და მეგობარ კაც მარკთან ერთად მონებივრე ჟანას იქ ყოფნას არაფერი ურჩევნია. ამბობს, რომ სარბიელს მხოლოდ 20 ივლისს, ბელგიურ ჰეხტელში დაუბრუნდება.

ჩავა თუ არა იქ მარიონ ჯონსი, არავინ იცის, თუმცა იმაში ეჭვის შეტანა, რომ ჟანას შედეგის გაუმჯობესებას იგი უახლოეს შეჯიბრებებშივე ეცდება, ალბათ არ უნდა შეიძლებოდეს.

# მთის თხილამურობა

# ზამთარში არ მოვიწყენთ: ჰერმინატორი ბრუნდება



ჰერმან მაიერი

**ავსტრიელი** სამთომთხილამურეები 20 ივლისიდან სამომავალსეზონო სამზადისს იწყებენ და, როგორც იუწყებიან, დიადი ჰერმან მაიერი, მთელი წელი ფეხის მოტეხვის გამო რომ გაუცდა, ნაკრებთან ერთად მოემზადება.

სახელოვანი კარიერისას ჰერმინატორს სამჯერ მოუგია მსოფლიო თასი, ხოლო 1998 წელს ნაგანოს ოლიმპიადაზე ორი ოქროს მედალიც მოიხვეჭა.

ავსტრიელები შვეიცარიულ ზერმატში იბანაკებენ.

# კრიმინალური საკითხი



პოლ პირსი

**ამერიკელმა** სამართალდამცავებმა დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაადგინეს ორი წლის წინ ღამის კლუბში „ბოსტონ სელტიქსის" სუპერვარსკვლავ პოლ პირსის დამჭრელთა ვინაობა. მაშინ ბოსტონელი სუპერვარსკვლავი მოსაკლავად გაიმეტეს 20 წლის უილიამ რაგლანდმა, 35 წლის ტრევორ უოტსონმა და 33 წლის ენტონი ჰარსტონმა. მათთან შეტაკებაში პირსი დანით დაიჭრა კისერში, ზურგსა და გულმკერდში, აგრეთვე ორ მეტრს ოდნავ აცილებულ კალათბურთელს თავზე გადაამტვრიეს ბოთლი.

პირსი შედარებით იოლად გადარჩა, ორი თვე იმკურნალა და 2000-01 წლების სეზონს ჯანზე შეხვდა. აი, მისი დამმუშავებელი ხალხი კი იოლად ვერ გადარჩება. ამ დღეებში სასამართლო იწყება, სადაც სამივეს წაუყენებენ განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებას.

**ძალოსნობაში** ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მექსიკელმა მღედრმა სორაია ხიმენესმა საქვეყნოდ აღიარა, რომ იზმირში გასამართ სტუდენტურ მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად ყალბი დოკუმენტების შეთითხვნაც კი იკისრა. ამ დოკუმენტების თანახმად იგი დღემდე მეხიკოს ნაციონალურ ავტონომიურ უნივერსიტეტში სწავლობს და, როგორც სტუდენტს, იზმირულ სამალოსნოზეც გაესვლებოდა.

აღიარებას სორაიამ დიდი რამ ბოდიშიც მიაყოლა და ბოლოს დასძინა, რომ ასეთ თაღლითობას აღარასოდეს, არავითარ შემთხვევაში აღარ ჩაიდენს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა სანქციებს გამოიყენებენ უეცრად სტუდენტობამოძალებული მოჯილდავის წინააღმდეგ მექსიკური სპორტის მამები.

ისე კი — ვგებ ვინმეს მიავიწყდა და — ოლიმპიური ოქრო სორაიამ სიდნეის ორიწლისწინანდელ სარბიელზე მოინაგრა.

# რაგბი

# ისინი ჩამოვიდნენ მთიდან

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა გუშინ აჭარის მთიანეთიდან, შუახევიდან, ბარში ჩამოვიდა და ბათუმში განაგრძო შეკრება.

შუახევში ნაკრების წევრებმა ფიზიკური კონდიციები გაიუმჯობესეს. ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი კმაყოფილი დარჩა იქაური პირობებით და ბიჭებიც ნაყოფიერად უვარჯიშებია. სორელი შეგირდებს ახლა ორჯერად ვარჯიშზე გადაიყვანს. როგორც ნაკრების კურატორმა გია ჭუმბურიძემ გვითხრა, 12 ივლისს ბორჯღალოსნები ბათუმის „დათვებს" გაუმართავენ სპარინგს, მერე კი შეკრება დასრულდება და მორაგბეები თავ-თავიანთ კლუბებს დაუბრუნდებიან.

ეროვნულთან ერთად ბათუმში შეკრებაზეა ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც 12 ივლისს იუგოსლავიაში მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირს იწყებს. ახალგაზრდებმა უკვე ითამაშეს ამხანაგურად ბათუმის „დათვებთან". სპარინგი ზღვისპირელებმა 11:10 მოიგეს.

**ბაჩო სვანიძე**

# მივიდა, ნახა, დალია
## აფრიკელებმა ციმბირი ლოთობით აღაშფოთეს



ვერ გამოდგნენ სერიოზული მეტოქეები რუსთა ნაწვევი აფრიკელები

**საქართველოს** ნაკრები ახლა ბათუმშია და 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება. სამგუნდა ჯგუფში (საქართველო, ირლანდია, რუსეთი) ჩვენი უშუალო მეტოქე რუსეთი კი სამხრეთაფრიკულ რაგბის ერთგულობს და უაფრიკელებოდ ტურნეს თუ შეკრებას არ აწყობს.

ახლაც რუსეთის რაგბის მამებმა დაძმობილებული სამხრეთაფრიკული კლუბი „ნაკა ბულზი" („ხარები") რუსეთის რაგბის ცენტრ კრასნოიარსკში ჩაიყვანეს და, როგორც იქაური ჟურნალისტები წერენ, მანდილას თანამემამულეებზე დახარჯული ფული სულ ენისეიში ჩაყარეს.

„ნაკა ბულზი" ჩრდილოეთ ტრანსვაალის პროვინციის ჩემპიონატში თამაშობს და დღევანდელი შედეგებით მე-4 ადგილზეა, სამხრეთ აფრიკის მთავარ ჩემპიონატში (CURRIE CUP) კი 14 პროვინციის კლუბი ასპარეზობს, მაგრამ „ნაკა ბულზი" მათ შორის არ გვხვდება.

„ხარები" კრასნოიარსკში სამმატჩა ტურნესთვის ჩავიდნენ. ორჯერ რუსულ კლუბებს უნდა გაჯიბრებოდნენ, ერთხელაც რუსეთის „ა" ნაკრებს.

ერთ-ერთი ციმბირული გაზეთის ცნობით, აფრიკელები გამთენიისას ჩაფრინდნენ კრასნოიარსკში და უკვე ტრაპზევე ლუდით შეზარხოშებულებს ეტყობოდათ, რომ სარაგბოდ კი არა, საღრეოდ ჩამოვიდნენო. სტუმრები იმავე საღამოს „ავანგარდის" სტადიონზე, სადაც მატჩი გაიმართა, ორი ყუთი ლუდით მივიდნენ და რამდენიმე მორაგბე ამ სითხითაც „მოითელა".

აფრიკელებს რუსეთის ვიცე-ჩემპიონი „ენისეი სიბტიაჟმაში" ჰყავდათ მეტოქედ, რომელშიც რუსეთის ნაკრების რვა მორაგბე და ორი ქართველი — რატი ურუშაძე და მიხეილ სუჯაშვილი თამაშობენ. მატჩის დროს ცა ჩამოიქცა, მატჩი კი კორიდას დაემსგავსა. გამომთვრალი „ხარები" რუსებმა იოლად გახედნეს და 46:0 მოუგეს. ნამატჩევს აფრიკელებს არც წყენისა ეტყობოდათ რამე და არც ტკენისა, პირიქით, ციმბირელ ლამაზმანებს ჩაეხუტნენ და გოგოებითურთ მთელი ღამე ლუდხანაში გაათენეს.

რუსულმა მედიამ ერთი ამბავი ატეხა: თუ ამ ლოთებს კიდევ ჩამოიყვანენ, რაგბის კავშირს ამას ძვირად დავუსვამთო.

**თამილა ჭუმბურიძე**


**აბიტურიენტთათვის**

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში სწავლისას საშუალება გეძლევათ დაეუფლოთ პარალელურ სპეციალობას

**სპორტულ ჟურნალისტიკას**

გთავაზობთ განახლებულ სასწავლო პროგრამას, რომელსაც საფუძვლად დაედო სპორტული ჟურნალისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის რეკომენდაციები და სხვა ავტორიტეტული უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილება

გააკეთეთ სწორი არჩევანი, ფეხი შემოდგით სპორტული ჟურნალისტიკის დიდ და საინტერესო სამყაროში, აღიჭურვეთ მრავალმხრივი ცოდნით, მოიპოვეთ პოპულარობა, ავტორიტეტი, გავლენა

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
99 08 22, 99 94 09, 8 99 90 26 32

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS პამპლონიდან

# ისვე პამპლონა

პამპლონის ქუჩები ჩაწყნარდა და ახლა მთავარი ამბები არენაზე ხდება. იღბალი არა ჰქონია პეპინ ლარიას, რომელიც სან ფერმინის ფიესტის მეორე დღესვე გააბურთავა ხარმა, თუმცა ისე, რომ ქირურგი არ დასჭირვებია.



REUTERS პამპლონიდან

# ისვენებს

ბორა მილუტინოვიჩი, ბოლო დროს ჩინეთის საფეხბურთო ნაკრების გამწვრთნელი, ახლა თავისუფალია და ტაილანდში მოგზაურობს, სადაც ზეჩამაბოპიტის მონასტერში ახალი ბერების აღკვეცას დასწრებია. ისვენებს კაცი და თან ახალ ქვეყანას დაეძებს. იმ ქვეყანას, რომელსაც უნდა, რომ გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანოს.



REUTERS ბანგკოკიდან

# რა თქმა უნდა

ჰიპ ჰოპის მომღერალი თოთხმეტი წლის ლილ ბოუ საყმაწვილო ფილმების ვარსკვლავიც ხდება. ახალ ფილმში „მაიკის მსგავსად" ის იმ პატარა მოწაფეს განასახიერებს, რომელსაც დიდი ბიჭები სკოლის გუნდში არ ათამაშებენ და რომელიც, რაღა თქმა უნდა, ნამდვილი ვარსკვლავი გახდება. ლილ ბოუს პარტნიორები ამ ფილმში ენბიეის ვარსკვლავებიც არიან, მათ შორის კი სიეტლელი გარი პეიტონი.





REUTERS კალგარიდან

# ვერაო

კოვბოი მაიკ აუტე ისე მალე მოუსვრია უხედნავ ცხენს, სახელად ჩერის, რომ ამაყ ტეხასელს უნაგირზე სავალდებულო რვა წამიც ვერ გაუძლია. ეს ამბავი კალგარიში, კოვბოების განთქმული ქუდის სამშობლოში ხდება.

# შეხვედრა

ჰაიდ პარკში ვარსკვლავთა კონცერტი გაიმართა და იქ ერთმანეთს შეხვდნენ ამ საქველმოქმედო ღონისძიების მთავარმომწყობი, უელსის პრინცი ჩარლზი და მსოფლიოს მძიმე წონის საკრივო მეუფე ლენოქს ლუისი. კარგი, ტკბილი საუბარიც გამოსვლიათ.



REUTERS


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ეკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge